ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში						
საქონლით ვაჭრობა						
1	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება	საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება ფართო ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში (მაქსიმალურად დეტალიზებულ, 3 ნიშნა დონეზე) ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (BEC Rev.4) მიხედვით	საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემები ხელმისაწვდომია ფართო ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში (3 ნიშნა დონეზე) ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (BEC Rev.4) შესაბამისად	საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები სასაქონლო ჭრილში ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (BEC Rev.4) შესაბამისად	სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური	გამოქვეყნდა საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემები ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, დეტალიზებულ 3 ნიშნა დონეზე (ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (BEC Rev.4) მიხედვით). დინამიკური მწკრივი მოიცავს 2000-2019 წლების პერიოდს.
2	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაციის გაზრდა, მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე ახალი პროდუქტების ექსპორტის მხრივ	EEN-ის სამეწარმეო ქსელში მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობა	ახალი ბიზნეს კავშირების დამყარების ხელშეწყობა ქართულ და ევროპულ მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის	EEN-ის პლატფორმაზე დარეგისტრირებული ქართული კომპანიების გაზრდილი რაოდენობა; EEN-ში ქართველ მეწარმეთა გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზებული საინფორმაციო	სსიპ - აწარმოე საქართველოში; სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა	EEN-ის პლატფორმის მეშვეობით ერთ-ერთ ქართულ სათამაშოების მწარმოებელ კომპანიასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა რუმინულმა კომპანიამ. ქართული მაღალტექნოლოგიური კომპანიის „სმარტ ბეჭედის“ მიმართ დაინტერესება იქნა გამოხატული უკრაინიდან და მათ მიეწოდათ ამ კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, მიმდინარე წლის განმავლობაში სააგენტოს მხრიდან პლატფორმაზე დარეგისტრირდა 5 ქართული კომპანია. გარდა ამისა, პლატფორმასთან

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
				შეხვედრების რაოდენობა		დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია 30-ზე მეტ დაინტერესებულ პირს.
3		ევროკავშირის ქვეყნებში სავაჭრო გამოფენებში და მისიებში ქართველი ექსპორტიორების მონაწილეობის ხელშეწყობა	ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე; ახალი ბიზნეს კავშირები და დივერსიფიცირებული ექსპორტი	ევროკავშირის ქვეყნებში სავაჭრო გამოფენებში და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა	სსიპ - აწარმოე საქართველოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	2019 წელს, ევროკავშირის მასშტაბით, ჯამში 11 საერთაშორისო გამოფენა/ ღონისძიებაში სააგენტოს დახმარებით მონაწილეობა მიიღო 102-მა ქართულმა კომპანიამ: • საგამოფენო ღონისძიება (trade show) Play Time Paris (საფრანგეთი, ქ. პარიზი) - ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 2 ქართული კომპანია; • საკვები და სასმელი პროდუქტების მიმართულებით გამოფენა "IFE LONDON 2019" (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) - 19 ქართული კომპანია; • Paris Fashion Week-ის თანმდევი ღონისძიება (პარიზი, საფრანგეთი) - 18 ქართველი დიზაინერი. • საერთაშორისო გამოფენა „Pitti Immagine Bimbo" (ფლორენცია, იტალია) - 4 ქართული კომპანია. • "Paris Fashion Week"-ის (Resort Collection) თანმდევი ღონისძიება (პარიზი, საფრანგეთი) - 6 დიზაინერი. • სათამაშოების მწარმოებელი კომპანიების საერთაშორისო გამოფენა „Spielwarenmesse" (ნიურნბერგი, გერმანია) - 5 კომპანია. • ავეჯის ინდუსტრიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოფენა PASSAGEN (კიოლნი, გერმანია) - 4 კომპანია. • Paris Fashion Week-ის თანმდევი ღონისძიება (პარიზი, საფრანგეთი), - 8 ქართველი დიზაინერი.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						• ღვინის მიმართულებით Women in Wine Expo Event-ზე (ამსტერდამი, ნიდერლანდები) - 10 ქართველი მეღვინე; • საკვებისა და სასმელის სექტორში Anuga-ს (კიოლნი, გერმანია) - 18 ქართული კომპანია; • ამავე სექტორში გამოფენაზე Food Ingredients (პარიზი, საფრანგეთი) - 8 ქართული კომპანია. ამავე პერიოდში, ევროკავშირის ფარგლებს მიღმა, სააგენტოს დახმარებით 66-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა 5 საერთაშორისო ღონისძიებაში. • ტყავის საერთაშორისო გამოფენა APLF Leather and Materials (ჰონგ-კონგი) - ტყავის აქსესუარების მწარმოებელი 3 (სამი) კომპანია; • საკვები და სასმელი პროდუქტების მიმართულებით Gulfood 2019 (დუბაი, არაბთა გაერთიანებული ემირატები) – 12 (თორმეტი) კომპანია; • ტანსაცმლის საერთაშორისო გამოფენა “Fashion World Tokyo” (ტოკიო, იაპონია) – 8 (რვა) ქართველი დიზაინერი, 2 (ორი) მასიური წარმოების კომპანია და 1 (ერთი) ეროვნული სამოსის მეწარმე. • იმპორტირებული საკვებისა და სასმელის საერთაშორისო გამოფენა Import Goods Fair (სეული, სამხრეთ კორეა) – 7 ქართული კომპანია; • ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის გამოფენაზე (შანხაი, ჩინეთი)

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						წარდგენილი იყო 33 ქართული კომპანია.
4		მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომო ბისა და/ან ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით	შექმნილი ან/და გაფართოებული საწარმოები	შექმნილი ან/და გაფართოებული საწარმოების რაოდენობა	სსიპ - აწარმოე საქართველოში	2019 წელს სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“ სესხის და ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით 144 ხელშეკრულება გააფორმა (85 საწარმო და 59 სასტუმრო). პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულება 288.6 მლნ. ლარს აღწევს. კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა 166.3 მლნ. ლარს აღემატება. პროექტების ფარგლებში შეიქმნება 2900-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი. ტექნიკური დახმარების კომპონენტით 15-მა კომპანიამ (3 სასტუმრო, 12 საწარმო) ისარგებლა.
5		მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment – TNA)	ევროპის სასწავლო ფონდთან (ETF) თანამშრომლობით მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასების კვლევის შესრულება	ორი ახალი იდენტიფიცირებული სექტორებისთვის ტრენინგების საჭიროებათა შეფასების კვლევა	სსიპ - აწარმოე საქართველოში	შიდა რეორგანიზაციის შემდეგ სააგენტო აღარ აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასებას.
6		სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციართა და სხვა დაინტერესებული მხარეების ცოდნის ამაღლება	DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმირებულ ბენეფიციართა და სხვა დაინტერესებული მხარეების	ბენეფიციარების და სხვა დაინტერესებული მხარეების რაოდენობა, რომლებსაც გაეწიათ კონსულტაცია DCFTA-სთან დაკავშირებით	სსიპ - აწარმოე საქართველოში	2019 წლის მონაცემებით, DCFTA-სთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია სააგენტოს 160 ბენეფიციარსა და დაინტერესებულ პირს, მათ შორის სათამაშოების მწარმოებელ 10 კომპანიას, საფეიქრო ინდუსტრიაში მომუშავე 50 კომპანიას, არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე 20 კომპანიას, „აწარმოე

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე	გაზრდილი რაოდენობა			საქართველოში“ პროგრამის 20 ბენეფიციარს და 60 ინდივიდუალურ პირს.
ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება						
7	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** იმ კანონმდებლობის შემუშავება, რომლის განხორციელების ვალდებულებაც საქართველომ აიღო ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) სტრატეგიის შესაბამისად	ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 2014/34/EU დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება პოტენციურად ფეთქებად გარემოში გამოსაყენებელ მოწყობილობებსა და დამცავ სისტემებს	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას თან	მიღებული მთავრობის დადგენილება	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №83 დადგენილებით დამტკიცდა „პოტენციურად ფეთქებად-საშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები მიღებულია საქართველოს სტადნარტებად.
8		ევროპის პარლამენტის და საბჭოს № 214/53/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება რადიო დანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალურ დანადგარებს და მათი	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას თან	მიღებული მთავრობის დადგენილება	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სტანდარტებისა და	ევროკომისიის დაძმობილების პროექტის ფარგლებში, ევროპელ ექსპერტებთან ერთად მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „რადიოაპარატურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები მიღებულია საქართველოს სტანდარტებად.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		შესაბამისობის ორმხრივ აღიარებას			მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	
9		ევროპის კომისიის N 2008/43/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების იდენტიფიცირებისა და მიკვლევადობის სისტემის დაფუძნებას	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას თან	მიღებული მთავრობის დადგენილება	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	„სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალების უსაფრთხოების შესახებ“ დადგენილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს მთავრობას. დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებულია, მიმდინარეობს დარჩენილი სტანდარტების საქართველოს სტანდარტად მიღების სამუშაოები.
10		ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 2016/426/EU რეგულაციასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობებს	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას თან	მიღებული მთავრობის დადგენილება	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის	საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №84 დადგენილებით დამტკიცდა „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები მიღებულია საქართველოს სტანდარტებად.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
					ეროვნული სააგენტო	
11		ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 2016/425 რეგულაციასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობებს	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას თან	მიღებული ნორმატიული აქტი	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №82 დადგენილებით დამტკიცდა „ინდიციდუალური დაცვის საშუალებების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები მიღებულია საქართველოს სტანდარტებად.
12		ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 2006/42/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება მანქანა-დანადგარებს	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას თან	მიღებული ნორმატიული აქტი	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის	საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცდა „მანქანა-დანადგარების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები მიღებულია საქართველოს სტანდარტებად.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
					ეროვნული სააგენტო	
13		ევროპის პარლამენტის და საბჭოს N2009/48/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება სათამაშოების უსაფრთხოებას	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას თან	მიღებული ნორმატიული აქტი	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვარის №47 დადგენილებით დამტკიცდა „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები მიღებულია საქართველოს სტანდარტებად.
14		ქართული დაახლოებული კანონმდებლობის გადახედვა III-A დანართში მითითებულ შეცვლილ და განახლებულ დირექტივებთან და რეგულაციებთან თავსებადობის შემოწმების ან მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას თან	საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	დამმობილების პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, გადაიხედა წინა ეტაპებზე დაახლოებული კანონმდებლობა ევროკავშირის განახლებულ საკანონმდებლო აქტებთან თავსებადობის შემოწმების მიზნით და განისაზღვრა ცვლილებების საჭიროებები. ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ცვლილებების პროექტები.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
15		საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება, განსაკუთრებით ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართში (TBT) მითითებული სექტორულ დირექტივებთან ჰარმონიზებული სტანდარტების	საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო/ ევროპული სტანდარტების რაოდენობა	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2019 წლის მდგომარეობით სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 2 036 სტანდარტი, მათ შორის: ➢ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 71 ➢ სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) -279 ➢ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 1686
16		მეტროლოგიის სფეროში დირექტივებთან MID (დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ) და NAWI (დირექტივა არა ავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ) კანონმდებლობის დაახლოების პროცესისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება	დირექტივებით განსაზღვრულ სფეროებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების გაზრდილი ცნობიერება; აღნიშნულ დირექტივასთან/ებთან ჰარმონიზებული სტანდარტის/ების საქართველოს სტანდარტად მიღება	ერთ-ერთი შერჩეული გაზომვის საშუალებისათვის MID ან NAWI მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადებული შიდა პროცედურის პროექტი; საქართველოს სტანდარტად მიღებული MID და/ან NAWI დირექტივასთან ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტი/ები, პრიორიტეტული სტანდარტი/ები	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	დასრულდა NAWI დირექტივასთან ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტის EN 45501 თარგმნის პროცესი. მიმდინარეობს პრიორიტეტული გაზომვის საშუალების შერჩევის პროცესი, შემდგომ შიდა პროცედურის პროექტის შემუშავების მიზნით. აღნიშნულ დირექტივებთან დაახლოების პროცესის ხელშეწყობის აქტივობები ასევე გათვალისწინებულ იქნა დაგეგმილ დამმობილების პროექტში, რომელიც, სავარაუდოდ, დაიწყება 2020 წელს.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
				თარგმნილია ქართულ ენაზე		
17		ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001:2015 შესაბამისად - ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის შემუშავების პროცესის დასრულება	სააგენტოს შიდა პროცესების ეფექტურობის გაზრდა და დაინტერესებული პირებისათვის გაწეული მომსახურების გაზრდილი ხარისხი და ეფექტურობა	ევროპელი ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული ხარიხის მენეჯმენტის დოკუმენტაცია	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	დამმობილების პროექტის ფარგლებში, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოში მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვისათვის ცალკეული დოკუმენტები შემუშავდა.
18		შეფასების დაწყება ახალი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, აკრედიტირებული საგამოცდო დასაკალიბრებელი ლაბორატორიების გადაყვანა ახალ სტანდარტზე.	აკრედიტაციის ცენტრი საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების შეფასებას ახორციელებს ახალი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად.	აკრედიტაციის წესებში და პროცედურებში იმპლემენტირებული ახალი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის მოთხოვნები და ყველა საგამოცდო დასაკალიბრებელი ლაბორატორიების შეფასება ხორციელდება ახალი სტანდარტის შესაბამისად.	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	აკრედიტაციის ცენტრმა განახორციელა ახალი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 საერთაშორისო სტანდარტის იმპლემენტაცია აკრედიტაციის წესებში და დაიწყო შეფასებები ახალი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად. მიმდინარეობს საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების ახალ სტანდარტზე გადასვლის სამუშაოები ყოველწლიური შეფასების ფარგლებში. გაწერილი გეგმის შესაბამისად პროცესი სრულად დასრულდება 2020 წლის დეკემბერში. 2019 წლის ბოლოსთვის საერთაშორისო ისო/იეკ 17025:2010 სტანდარტის შესაბამისად აკრედიტებული 80 ლაბორატორიიდან, სტანდარტის ახალ ვერსიაზე ისო/იეკ 17025:2017/2018-ზე გადავიდა 26 ლაბორატორია.
19		ევროპის აკრედიტაციის	აკრედიტირებული სამედიცინო	შეფასება ჩატარებულია და	სსიპ აკრედიტაციის	2019 წლის 2-3 ოქტომბერს ევროპული აკრედიტაციის მრავალმხრივი შეთანხმების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		თანამშრომლობის (EA) მიერ აკრედიტაციის ახალი სფეროს - აკრედიტირებული სამედიცინო ლაბორატორიების აღიარება	ლაბორატორიები ფუნქციონირებენ საერთაშორისოდ აღიარებული სფერო მიხედვით. გაზრდილია აკრედიტაციაზე განაცხადების რაოდენობა და მომხმარებლის ნდობა.	EA-ს მიერ აღიარებულია ახალი სფერო - აკრედიტირებული სამედიცინო ლაბორატორიები	ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საბჭოს (EA-MAC) შეხვედრაზე საბჭოს 42-ე სხდომის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის ცენტრს მიენიჭა აღიარება სამედიცინო ლაბორატორიების სფეროში და ამასთან გაუგრძელდა ევროპული აკრედიტაციის აღიარება 2022 წლის ნოემბრამდე. აკრედიტაციის ცენტრი, ევროპული აკრედიტაციის ორმხრივი შეთანხმების (EA-BLA) ხელმომწერია 2017 წლიდან, რაც გულისხმობს აკრედიტაციის ცენტრის აღიარებას შეთანხმებით მოცულ სფეროებში. ევროპული აკრედიტაციის აღიარების შენარჩუნების მიზნით შეთანხმება ითვალისწინებს აკრედიტაციის ორგანოების პერიოდულ შეფასებას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე.
20		აკრედიტაციის ცენტრის მიერ ILAC-ში (International Laboratory Accreditation Cooperation) განაცხადის გაკეთება და ორმხრივი აღიარების შეთანხმების ხელმოწერა	აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული საგამოცდო, დასაკალიბრებელი, სამედიცინო ლაბორატორიები, ინსპექტირების ორგანოები, პერსონალის, პროდუქტის, სერტიფიკაციის ორგანოები აღიარებულია საერთაშორისოდ.	ორმხრივი აღიარების შეთანხმება ხელმოწერილია აკრედიტაციის ცენტრს და ILAC-ს შორის.	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	EA-ს მიერ GAC-ის აღიარების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ, აკრედიტაციის ცენტრის მიერ დაიწყო შესაბამისი პროცედურების განხორციელება საერთაშორისო ლაბორატორიული აკრედიტაციის თანამშრომლობასთან (ILAC) მრავალმხრივი აღიარების შესახებ შეთანხმება MRA-ს ხელმოწერაზე განაცხადის გაკეთების მიზნით. ILAC-ის სამდივნოში გაიგზავნა შესაბამისი მოთხოვნა განაცხადის ფორმის მოწოდების თაობაზე. 2019 წლის ბოლოსთვის დაგეგმილი იყო MRA-ს ხელმოსაწერად შესაბამისი განაცხადის გაგზავნა, თუმცა ILAC-ში სტრუქტურული ცვლილებების გამო განაცხადის გაკეთება გადაიდო. ILAC-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი სამდივნო განახლებულ განაცხადის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ფორმებს მოგვაწვდის 2020 წლის იანვრის თვეში. ასევე ILAC-ში სტრუქტურული ცვლილებების ფარგლებში გაუქმდა ILAC-ის აფილირებული წევრობის სტატუსი, რომლითაც სარგებლობდა GAC და შესაბამისად უნდა განხორციელდეს წვერობის სტატუსის შეცვლაც.
21		აკრედიტაციის სქემის/სფეროების შემუშავება შემდეგი მიმართულებებით: ISO 50003, OHSAS 18001, ISO 14001	მომზადებულია აკრედიტაციის ახალი სქემები/სფეროები შემდეგი სტანდარტების მიხედვით: ISO 50003, OHSAS 18001, ISO 14001. ISO 50003 იმპლემენტაციით, შესაძლებელი იქნება შეფასდეს შენობების ენერგო ეფექტურობა, OHSAS 18001 მნიშვნეელოვანი სტანდარტია შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით, ხოლო, ISO 14001 მნიშვნელოვანი სტანდარტია ეკოლოგიური მენეჯმენტის მართვის მხრივ	აკრედიტაციის ცენტრის წესებში და პროცედურებში იმპლემენტირებულია აკრედიტაციის სქემები/სფეროები შემდეგი მიმართულებებით: ISO 50003 OHSAS 18001 ISO 14001	სსიპ აკრედიტაციი ს ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	აკრედიტაციის ცენტრში 2019 წლის განმავლობაში დაინერგა აკრედიტაციის სფეროები შემდეგ სატნდარტებში: ISO 50003:2014 და ISO 14001. აღნიშნული მიზნით საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოდან შეძენილ იქნა აღნიშნული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებისათვის.
22	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა**	პრიორიტეტული მიმართულებებით	დაინტერესებული მეწარმეებისათვის	გაზომვის 2 მიმართულებით	სსიპ სტანდარტებისა	გრძელდება ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: სტანდარტების, ტექნიკური რეგულაციების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ევროკავშირის მხარდაჭერის გზით	ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	მეტროლოგიური სერვისების გაზრდილ რაოდენობაზე ხელმისაწვდომობა	ეტალონური ლაბორატორიებისა თვის შეძენილი ხელსაწყოები	და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	განახლების/მოდერნიზაციისა და სრულყოფის პროცესი. შეძენილ იქნა ციფრული მანომეტრი წნევის ეტალონური ლაბორატორიისათვის, ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილებისათვის ციფრული ტემპერატურული კალიბრატორი (თერმოსტატი). აღნიშნული აღჭურვილობის შეძენით შესრულდა COOMET-ის ექსპერტების მიერ GEOSTM-ის საერთაშორისო შემოწმების დროს მიღებული რეკომენდაციები. 2019 წლის განმავლობაში ფიზ-ქიმიური გაზომვების ლაბორატორიისთვის შეძენილ იქნა pH-მეტრი და სტანდარტული ნიმუშები, ასევე pH-მეტრიისა და კონდუქტომეტრიის ეტალონების მოდერნიზაციის პროცესის დასრულების მიზნით შეძენილ იქნა შესაბამისი ნაწილები და მასალები. რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილებისათვის შეძენილ იქნა გენერატორი, პრეციზიული ციფრული მულტიმეტრი და სიხშირმზომი.
23		მეტროლოგის სფეროში პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და/ან მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	საწარმოებისათვის, ლაბორატორიების ათვის, ყველა დაინტერესებული პირისთვის მეტროლოგიურ სერვისებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა	ქვეყნის დაკალიბრებისა და გაზომვისა შესაძლებლობების CMC ჩანაწერების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა საერთაშორისოდ აღიარებულ მიმართულებებში	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი	2019 წლის ივლისის თვეში რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილების დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობები 2 CMC ჩანაწერი დოზიმეტრიის სფეროში გამოქვეყნდა ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM მონაცემთა ბაზაში, რაც აღნიშნული სერვისების საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
					განვითარების სამინისტრო	გრძელდება სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისოდ აღიარებულ ლაბორატორიების დაკალიბრებისა და გაზომვისა შესაძლებლობების - CMC ჩანაწერების გამოქვეყნების სამუშაოები ისეთი ახალი მიმართულებით, როგორიცაა წნევა, მცირე მოცულობა, ტენიანობა, სიგრძე; ასევე უკვე აღიარებულ მიმართულებებში - ელექტრობა, მასა, ტემპერატურა - CMC ჩანაწერების რაოდენობისა და დიაპაზონის გაზრდისათვის. საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების, ასევე გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს ეტალონები და გაზომვის საშუალებები დაკალიბრდა შემდეგი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებში: PTB გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტი, უკრმეტრტესტსტანდარტი (კიევი) და ხარკოვის მეტროლოგიის ინსტიტუტი (უკრაინა), CMI ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტი, ბელორუსიის მეტროლოგიის ინსტიტუტი (BelGIM).
24		საერთაშორისო აღიარების შენარჩუნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალი ვერსიის დანერგვის პროცესის დაწყება მეტროლოგიის ინსტიტუტის	სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO/IEC 17025:2017 ახალი ვერსიის შესაბამისად აღიარებულია	სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალი ვერსიის დანერგვისათვის დაწყებულია ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი	სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ მომზადდა საერთაშორისო სტანდარტზე ISO/IEC 17025:2017 ვერსიაზე გადასვლის გეგმა, რომელიც 30 სექტემბერს გადაგზავნილი იქნა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET ხარისხის ტექნიკურ კომიტეტში, რაც აუცილებელი და სავალდებულო პირობაა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარების შენარჩუნებისათვის.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		ეტალონურ ლაბორატორიებში	საერთაშორისო დონეზე	გადახედვის პროცესი	განვითარების სამინისტრო	ამასთან, სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ეგიდით გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში PTB 4-8 თებერვალს გამართულ ტრენინგში "მეტროლოგიის ინსტიტუტების ხარისხის მენეჯმენტის სისტემებში სტანდარტის ISO/IEC 17025 ახალი ვერსიის მოთხოვნების დანერგვა". მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ასევე მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ეგიდით გამართულ სემინარში ხარისხის მენეჯმენტის სისტემების აუდიტორებისათვის, რომელიც ჩატარდა 26-28 მარტს მოლდოვაში, ქ. კიშინოვი. PTB გერმანული პროექტის (95097/BMZ N 2014.2204.7) „სურსათის ტესტირების და მეტროლოგიის სფეროების განვითარება სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ ფარგლებში ა.წ. 18-20 ივნისს სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა სემინარები ევროპელი ექსპერტის მიერ, მათ შორის სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალი ვერსიის მოთხოვნების შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის სისტემების თაობაზე. ტრენინგზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სტანდარტის ახალი ვერსიის ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა: „მიუკერძოებლობა“, „გადაწყვეტილების მიღების წესი“, „განაცხადი შესაბამისობის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						თაობაზე“, „რისკებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებული ქმედებები“.
25		ინფორმაციული მენეჯმენტის სისტემის შემუშავება სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და მეტროლოგიის ინსტიტუტისათვის	გაუმჯობესებული ელექტრონული სერვისები	შემუშავებულია და გაშვებულია სისტემების საპილოტე ვერსია	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების (CIB) პროგრამის ფარგლებში სააგენტოში მიმდინარეობს პროექტი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) მხარდაჭერა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემებში“. დასრულდა სტანდარტების ელექტრონული პლატფორმის (E-shop URL: https://sst.geostm.gov.ge/) შექმნისა და “live” რეჟიმზე გადართვის პროცესი. პლატფორმა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მიმდინარეობს საქართველოს სტანდარტების ბაზის სტანდარტიზაციის საერთაშორისო (ISO/IEC) და ევროპული ორგანიზაციების ბაზებთან (CEN, CENELEC) სინქრონიზაციის სამუშაოები.
26	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების, მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა, დაახლოებული	დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	დაინტერესებული მხარეებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაზრდილი ცნობიერება სტანდარტებისა და მეტროლოგიის სფეროში	ჩატარებული შეხვედრების/ სემინარების რაოდენობა	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2019 წლის 21 თებერვალს დამმობილების პროექტის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ცნობადობის ამაღლების სემინარი ადგილობრივი მეწარმეებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. სემინარის ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენლებმა დამსწრეებს ინფორმაცია მიაწოდეს DCFTA-ის ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების თავით განსაზღვრულ საქართველოს ვალდებულებებსა და სარგებელზე, ასევე, სააგენტოს მიღწევებზე, განვითარებულ

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	კანონმდებლობის დანერგვისთვის					სერვისებზე და გამოწვევებზე. სემინარზე საკუთარი ქვეყნების გამოცდილება დამსწრეებს გაუზიარეს ლიტველმა, ლატვიელმა და დანიელმა ექსპერტებმა. 2019 წლის 5 მარტს სააგენტოში ჩატარდა ღია კარის დღე. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენდა უნიკალურ შესაძლებლობას სტუდენტების, ბიზნესის, აკადემიური და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისათვის, ისევე როგორც სკოლის მოსწავლეებისათვის ადგილზე გაცნობოდნენ სააგენტოს სერვისებს, მიეღოთ თეორიული და პრაქტიკული ინფორმაცია სააგენტოს ექსპერტებისაგან სააგენტოს ლაბორატორიების, გაზომვების, სტანდარტიზაციის და საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. 2019 წლის 7 მარტს სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში გაიმართა დამმობილების პროექტის ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა ევროკავშირი - საქართველოს DCFTA მოთხოვნების შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით“ დასკვნითი კონფერენცია. კონფერენციაზე მონაწილე მხარეებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს პროქტის ფარგლებში მიღწეული შედეგები. 2019 წლის 11 დეკემბერს სააგენტოში ჩატარდა სტანდარტების ელექტრონული პლატფორმის (URL https://sst.geostm.gov.ge/) პრეზენტაცია. აღნიშნული ღონისძიებაზე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						მიეწოდათ ინფორმაცია პლატფორმის ფუნქციონირების, შესაძლებლობებისა და გამოყენების წესის შესახებ.
27	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** კადრების შემდგომი ტრეინინგი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და სააგენტოების მართვისთვის	სტანდარტიზაციასა და მეტროლოგიის სფეროში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	სააგენტოს თანამშრომლების ამაღლებული კვალიფიკაცია	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარებული სემინარების/ ტრეინინგების და გადამზადებულ პირთა რაოდენობა	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	დამმობილების პროექტის ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენლები თებერვლის თვეში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. რიგაში ლატვიის სტანდარტებისა და მეტროლოგიის, ეკონომიკისა სამინისტროსა და ზედამხედველობის სფეროში მოქმედ შესაბამის ორგანოებში. ასევე დამმობილების პროექტის ფარგლებში სააგენტოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. რიგაში, ლატვიის რესპუბლიკაში, შენობებში ენერგო ეფექტურობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მისი დანერგვის საკითხებზე. ზემოთაღნიშნული დამმობილების პროექტის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის ევროპელი ექსპერტების მიერ ჩატარდა სემინარები/ტრეინინგები და ასევე სასწავლო ვიზიტები გაზომვების შემდეგი მიმართულებებით: აკუსტიკური გაზომვები, ფიზ-ქიმიური გაზომვები, ოპტიკური გაზომვები, 2019 წლის 13-14 მარტს და 9-11 სექტემბერს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს და მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციების გაერთიანებული

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						კომიტეტის (JCRB) მე-40 და 41-ე სხდომებში. მარტის თვეში დასრულდა სააგენტოს თანამშრომლებისთვის დამმობილების პროექტის ფარგლებში გამართული ინგლისური ენის კურსები და გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები. სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ESCAP/ISO/ UNCTAD მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ ტრეინინგში „არასატარიფო ზომები და საერთაშორისო სტანდარტები მდგრადი განვითარებისთვის" რომლებიც გაიმართა ა.წ. 12-15 მარტს , ტაილანდში, ქ. ბანკოკში და 10-11 ივნისს სომხეთში, ქ. ერევანი. სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის კომიტეტის სხდომაში (გენერალურ ასამბლეაში) და სემინარში, რომელიც გაიმართა ა.წ. 2-4 აპრილს გერმანიაში ქ. დრეზდენი. 2019 წლის 5-6 ივნისს, სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბუქარესტში გამართულ სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN-CENELEC, ETSI) გენერალურ ასამბლეაში. 2019 წლის 18-20 ივნისს სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ტაშკენტში. გამართულ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO)

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						სემინარში „ISO Marketing and Communication“. 2019 წლის 16-21 ივნისს, სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 7) თავმჯდომარესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქ. ვენაში გამართულ, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) ტექნიკური კომიტეტის (ISO TC 301) სამუშაო შეხვედრასა და საერთაშორისო კონფერენციაში "ISO 50001 Energy Management Systems (EnMS)”. 2019 წლის 16-18 ივლისს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ქინგდაოში, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სემინარში „IT Services for User Administrators (MBUAs)“. 2019 წლის 6-8 აგვისტოს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 3) თავმჯდომარესთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქ. ქინგდაოში სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სემინარში „Managing effective national mirror committees“. 2019 წლის 17-20 სექტემბერს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						გაზომვების ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET ტექნიკური კომიტეტის 1.9 „მაიონებელი გამოსხივება და რადიოაქტიურობა“ სხდომაში, რომელიც გაიმართა ქ. კიშინოვში, (მოლდოვა). 2019 წლის 21 - 25 ოქტომბერს ქ. კიშინოვში, (მოლდოვა) სააგენტოს ელექტროგაზმვების ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის TC 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ სხდომაში. 2019 წლის 01-02 ოქტომბერს ქ. სანკტ-პეტერბურგში (რუსეთი) მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების, ასევე წნევის განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის ტკ 1.6 „მასა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები“ სხდომაში. მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების წარმომადგენლების პერმანენტულად მონაწილეობენ გერმანული რეგიონალური პროექტის "Strengthening the Quality Infrastructure in the Countries of the Southern Caucasus" პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებში, სემინარებსა და სტაჟირებებში ისეთ საკითხებზე როგორიცაა ხარისხის მენეჯმენტის სისტემები, მცირე მოცულობის გაზომვები, ელექტროგაზომვები და სხვა.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						2019 წლის 9-11 დეკემბერს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბაქოში სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სემინარში „Non-tariff measures in Azerbaijan and North and Central Asia“.
28	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** ბაზრის ზედამხედველობის სფეროში, საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების და ბაზრის ზედამხედველობის ორგანოების ადმინისტრაციული უნარების გაძლიერება	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება ბაზრის ზედამხედველობის კუთხით	სააგენტოს თანამშრომლების გაზრდილი კომპეტენცია ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით	ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სააგენტოში მიმდინარე დამმობილების პროექტის ფარგლებში ექსპერტების მიერ ჩატარდა ტრენინგი 6 ახალი მიდგომის დირექტივასთან დაახლოებულ ტექნიკურ რეგლამენტებთან დაკავშირებით. ლიფტები, საბაგირო მოწყობილობები, წნევაზე მომუშავე მოწყობილობები, მარტივი წნევის ქვეშ მყოფი ჭურჭლები სამშენებლო პროდუქტები. დამმობილების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტების მიერ სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ პროდუქტებთან დაკავშირებით: მანქანა-დანადგარები, სათამაშოები, ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები. ტრენინგები ჩატარდა ასევე ინტერნეტ გამოძიებასა და ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი.
29		საბაჟო ორგანოებსა და სააგენტოს წარმომადგენლებისა	გაუმჯობესებული ბაზარზე	ჩატარებული ტრეინინგებისა და გადამზადებულ	ტექნიკური და სამშენებლო	განხორციელდა საბაჟო ორგანოებსა (მათ შორის საბაჟო გამშვები პუნქტების თანამშრომლების) და ტექნიკური და

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		თვის ერთობლივი სწავლებების ჩატარება განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელებისა და კოორდინირების მიზნით	ზედამხედველობის პროცესი	თანამშრომელთა რაოდენობა	ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; შემოსავლების სამსახური	სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლებისათვის ერთობლივი ტრენინგი ბაზარზე ზედადამხედველობის საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნული სწავლება ასევე მოიცავდა კონკრეტულად სათამაშოების ბაზარზე ზედამხედველობის საკითხებს და ამ კუთხით საბაჟო ორგანოსა და ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების თანამშრომლობის საკითხებს. ტრენინგზე განხორციელდა საპილოტე ბაზარზე ზედამხედველობა, რაც გულისხმობდა საჩვენებელ/იმიტირებულ ბაზარზე ზედამხედველობის ჩატარებას.
30	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** ინდუსტრიული ნაწარმისთვის ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის განხორციელება	ბაზრის ზედამხედველობის მიზნისთვის შერჩეულ სეგმენტებზე საპილოტე ბაზრის კვლევის განხორციელება	არსებული ბაზარი შერჩეულ სეგმენტში შესწავლილია და სააგენტოს თანამშრომლებს გააჩნიათ შესაბამისი უნარები	განხორციელებული საპილოტე კვლევა	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	დამმობილების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტების დახმარებით საპილოტე ბაზრის კვლევა განხორციელდა დაბალი ძაბვის ელექტრო მოწყობილობებზე. ასევე საპილოტე ზედამხედველობა განხორციელდა სათამაშოებისა და მანქანა-დანადგარებზე, ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებზე.
სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები						
31	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოს სურსათის და ცხოველის საკვების, მცენარეთა	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში	დამტკიცებული ნორმატიული აქტების რაოდენობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო	ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად 2019 წლის განმავლობაში დასაახლოებელი ევროკავშირის აქტებიდან 2 (2007/843/EC და 2012/756/EU გადაწყვეტილებები) საქართველოსთვის არარელევანტურად სცნო ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა. დანარჩენ აქტთან დაახლოების მიზნით, დამტკიცდა:

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	ჯანმრთელობისა და ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების, კეთილდღეობის კანონმდებლობის და პრაქტიკის ევროკავშირთან დაახლოებისთვის მოსამზადებლად, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართების მიხედვით	დანართის შესაბამისად				**ვეტერინარიის მიმართულებით:** (1) „საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის განკუთვნილი ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ჯანმრთელობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N166 დადგენილება; (2) „სალმონელასა და სხვა სპეციფიკური საკვებისმიერი ზოონოზური აგენტების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N172 დადგენილება; (3) „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის N112 დადგენილება; (4) „ცხოველის საკვების ჰიგიენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N173 დადგენილება; **სურსათის უვნებლობის მიმართულებით:** (5) „სახელმძღვანელო მითითებები სახელმწიფო კონტროლის მრავალწლიან პროგრამასთან (გეგმა) დაკავშირებით“; (6) „ახალი („ნოველ“) სურსათის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N167 დადგენილება; (7) „სახელმძღვანელო მითითებები იმ ინფორმაციის სამეცნიერო ასპექტების და პრეზენტაციის შესახებ, რომელიც

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						აუცილებელია ახალი სახეობის სასურსათო პროდუქტების და ახალი საკვები ინგრედიენტების ბაზარზე განსათავსებლად“; (8) „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N120 დადგენილება; (9) „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N549 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის N90 დადგენილება; (10) სახელმძღვანელო მითითებები - მარცვლოვნებსა და მარცვლოვნების გადამუშავებით დამზადებულ პროდუქტებში T-2 და HT-2 ტოქსინების არსებობის შესახებ“; (11) „ტექნიკური რეგლამენტის - საკვებდანამატების სპეციფიკაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 7 აგვისტოს N379 დადგენილება; **მცენარეთა დაცვის მიმართულებით:** (12) „დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						2019 წლის 22 აპრილის N199 დადგენილება; (13) „ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N40 დადგენილება; (14) „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილება; (15) „მარცვლეული კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N45 დადგენილება; (16) შაქრის ჭარხლის და ცხოველის საკვები ჭარხლის თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N37 დადგენილება; (17) ბოსტნეულისა და ბაღჩეულის თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N44 დადგენილება; (18) „ტექნიკური რეგლამენტის – „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის N22 დადგენილება.
32	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება შესაბამის სააგენტოებთან, ბიზნესებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად საჭირო მოთხოვნების თაობაზე და ასევე, სამოქალაქო საზოგადოებასთან - სურსათისა და ცხოველთა საკვების უსაფრთხოების, შესაბამისი სამომხმარებლო ასპექტების თაობაზე	საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ევროკავშირის ბაზარზე შესვლის მოთხოვნებთან დაკავშირებით სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან	გაზრდილი ინფორმირებულობა	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო	1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის პროექტის „Facility for the Implementation of DCFTA in Georgia“ მიერ ორგანიზებულ მრგვალი მაგიდის სხდომაში, რომელიც გაიმართა 2019 წლის 18 იანვარს ქ. რუსთავში. შეხვედრას ესწრებოდნენ ქვემო ქართლის მხარეში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე იმ მოთხოვნების თაობაზე, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭიროა ევროკავშირის ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტისთვის. 2. მიმდინარე წლის 6 მაისს ქ. თბილისში, ხოლო 17 მაისს ქ. ქუთაისში „ევროპის დღეები 2019“-ის ფარგლებში, ჩატარდა ღონისძიება, სადაც ადგილობრივ თვითმმართველობებში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამინისტროს წარმომადგენელმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებასა და ხელშეკრულებით

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მიმართულებით. 3. 13-14 მაისს ქ. ზუგდიდში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებასა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ“. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების თაობაზე. 4. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2019 წლის მარტის თვეში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ეტიკეტირების ახალ წესთან დაკავშირებით (2019 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა ტექნიკური რეგლამენტი „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების - სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“.) შეხვედრები ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. მოხდა საინფორმაციო ფოტო და ვიდეომასალის გავრცელება ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში. ღონისძიების პარალელურად, სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ სპეციალურად გამოყოფილმა სპიკერებმა მიიღეს მონაწილეობა სატელევიზიო გადაცემებში როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ ტელეარხებზე.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						5. ცნობიერების ამაღლების მიზნით, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში ჩატარდა შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა მეწარმეებს მიაწოდეს ინფორმაცია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების შესახებ: ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“; ✓ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N345 დადგენილება „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”; ✓ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“;

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						✓ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის N338 დადგენილება „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორებისა და აგრარული ბაზრების/ბაზრობების, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველის რეალიზაცია, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“; ✓ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის N29 განკარგულება „ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“.
33	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** ქართული ბიზნესის ადაპტაციის შესაძლებლობის გაუმჯობესება დაახლოებული კანონმდებლობის დანერგვისათვის	ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მეწარმეების დახმარება კანონმდებლობის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით	ბიზნესი ადაპტირებულია ახალ მოთხოვნებთან კონსულტაციების, ტრეინინგების, მათ შორის სხვა სახის მხარდაჭერის პროექტების დახმარებით	განხორციელებული აქტივობების ან ბენეფიციარების რაოდენობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო	1. თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიის (VHS) და სისხლმბადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურების ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის, ფერმერებისთვის ფლაერების და ბუკლეტების შემუშავებისა და მათთან შეხვედრების მიზნით, მოკლევადიანი ხელშეკრულება გაუფორმდა შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტს. 2. საგაზაფხულო კამპანიების დროს, ცხოველთა მფლობელებისათვის დასარიგებლად გამზადდა და სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ სამმართველოებს გადაეცათ ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან დაკავშირებით 100 000 (ასი ათასი) ცალი

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						საინფორმაციო ბუკლეტი, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. 3. 2018 წლის 28 ივნისის საქართველოს მთავრობის N345 დადგენილების „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების“ გაცნობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი დაინტერესებული ბიზნესოპერატორებისთვის. სურსათის უვნებლობის კუთხით: 4. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით, 2019 წლის ივნისის თვეში, საქართველოს ოთხ ქალაქში, კერძოდ: თელავში, საგარეჯოში, რუსთავსა და მარნეულში, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გამართეს ინფორმაციული ხასიათის შეხვედრები ადგილობრივ მომხმარებლებთან და ბიზნესოპერატორებთან, სააგენტოს საქმიანობის, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებისა და სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესახებ. მათ შორის, ყურადღება გამახვილდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებაზე: „ტექნიკური რეგლამენტი - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						(სურსათის ეტიკეტირების წესი) დამტკიცების შესახებ“.
34	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** საქართველოსთვის შემდგომი ტექნიკური რჩევებისა და მხარდაჭერის გაწევა კანონმდებლობის შემუშავებასა და გატარებაში, მათ შორის, შესაბამისი კადრების მომზადებაში, კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობების განვითარებასა და ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაში, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად	შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანამშრომლების ტრენინგი კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში, კომპეტენტური ორგანოსთვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამის და ლაბორატორიული უნარების გაძლიერების კუთხით	გაძლიერებული სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ღონისძიებებში ჩართული სახელმწიფო სტრუქტურები	ჩატარებული ტრენინგების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ - შემოსავლების სამსახური; სსიპ- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	სსიპ - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები: 2019 წლის იანვარსა და თებერვალში, ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ბორჯომში, თელავსა და რუსთავში სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები სურსათის ბიზნესოპერატორებისათვის (მწარმოებლები, გადამამუშავებლები, დისტრიბუტორები, საბითუმო და საცალო გამყიდველები), სურსათის ინსპექტორებისა და სპეციალისტებისათვის, საქართველოს მთავრობის N301 დადგენილებასთან „ტექნიკური რეგლამენტი - მომხმარებლებისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დაკავშირებით. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სურსათის ბიზნესოპერატორების 315 წარმომადგენელმა და 151 სურსათის ინსპექტორმა და სპეციალისტმა. 2019 წლის იანვარსა და თებერვალში, ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავსა და ბორჯომში სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ცნობიერების ამაღლების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						შეხვედრები/ტრენინგები სასაკლაოებისა და სურსათის ინსპექტორებისათვის, საქართველოს მთავრობის N581 დადგენილებასთან „ტექნიკური რეგლამენტი-სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ“ დაკავშირებით. ტრენინგები შეეხო ნიმუშების აღების მეთოდებს, აღებისათვის საჭირო აღჭურვილობის დადგენასა და გამოყენებას, ასევე ანალიზის პასუხების ინტერპრეტაციას. აღნიშნულ ტრენინგებზე მონაწილეობა მიიღო სასაკლაოს 129 წარმომადგენელმა და 41 ინსპექტორმა. ჩატარდა HACCP-ის პრინციპებზე სახელმწიფო ვეტერინარებისა და სურსათის ინსპექტორების ტრენინგის მეორე რაუნდი. მონაწილეთა რაოდენობა 21 ადამიანს შეადგენდა. მომზადებულ იქნა წინადადება ვეტერინარებისა და ვეტერინარი ტექნიკოსების განგრძობითი პროფესიონალური განვითარების მოთხოვნების/სტანდარტების შესახებ, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული დეპარტამენტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული დეპარტამენტისათვის მომზადდა დოკუმენტები კრიზისის მართვის დაგეგმვისათვის.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						საქართველოში ცხოველთა იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, (NAITS) პროექტის მხარდაჭერითა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის კუთხით, საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები შესაბამისი კადრების მოსამზადებლად, სადაც მონაწილეობა მიიღო 700-მდე სპეციალისტმა (სახელმწიფო და კერძო ვეტერინარმა). საპილოტე პროექტის ფარგლებში, რიგ მუნიციპალიტეტებში ჩატარდა და მიმდინარეობს თეორიული და პრაქტიკული სწავლებები, სიმულაციური სავარჯიშოები და ტრენინგები. ჩატარდა საკანონმდებლო დაახლოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დეკორატიული მცენარეების სარგავი მასალის ბაზარზე განთავსების მარეგულირებელი წესების დაახლოების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 12 წარმომადგენელი; თბილისში, კახეთში, ქუთაისში, ბათუმსა და ბორჯომში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია სურსათის ბიზნესოპერატორების აღიარების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, მცენარეთა დაცვის პროდუქტების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა მცენარეთა დაცვის 75 სპეციალისტი; 2017 წლის 29 დეკემბერის საქართველოს მთავრობის N605 დადგენილების - „ტექნიკური რეგლამენტი-ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტსა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორების აღიარების წესების“ მოთხოვნების გაცნობისა და შინაური ბინადარი ცხოველის საკვების გადამამუშავებელი საწარმოს აღიარების შემდგომი სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, რეგიონალური სამსახურების მხარდაჭერა; 2018 წლის 26 ივნისის საქართველოს მთავრობის N338 დადგენილების - „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორებისა და აგრარული ბაზრების/ბაზრობების, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველების რეალიზაცია, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორცილების წესი“-ს შესაბამისად, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 31 აგვისტოს N174-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძანება N65-9, 05.03.2019) რეგიონალური სამსახურების მხარდაჭერა;

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						2017 წლის 11 იანვრის საქართველოს მთავრობის N29 განკარგულების- „ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის“ მოთხოვნებით, ვეტერინარული სამსახურისთვის რეკომენდირებული სტრატეგიისა და ვეტერინარიის დეპარტამენტის 2019-2022 წლების შიდა სტრატეგიის შესაბამისად, ვეტერინარებსა და ფერმერებს შორის ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისა და ვეტერინარიაში ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენების მნიშვნელობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგები. **სურსათის უვნებლობა**: მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ, ჩატარდა ტრეინინგები ინსტრუმენტულ ქიმიაში, ჩატარდა სულფამიდების და დითიო კარბამატების გაზომვები. ჩეხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ზედამხედველობისა და ტესტირების ცენტრალური ინსტიტუტის ექსპერტების მიერ 2019 წლის დეკემბრის თვეში, „Capacity building in the phytosanitary area in Georgia“ პროექტის ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლებისათვის, კახეთის რეგიონში, ჩატარდა სემინარი მევენახეობაში პესტიციდების მდგრადი გამოყენების შესახებ ჩეხეთის მაგალითზე. **ვეტერინარია:**

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა გაიარა სწავლება ლატვიის ეროვნულ რეფერალურ ლაბორატორიაში თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა და სისხლმბადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის ვირუსის იზოლაციასთან დაკავშირებული საკითხებზე. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში, თემაზე: ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაცია და კონტროლი ლატვიაში. 2019 წლის 1-7 აპრილს, ქ. თბილისში, ლატვიელი კოლეგების მიერ ჩატარდა ტრენინგი შემდეგ თემებზე: „მეფრინველეობის ფერმის რეგისტრაცია, საკანონმდებლო მოთხოვნების გაცნობა და კონტროლის სისტემა“; „მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა პირველადი წარმოების საკანონმდებლო მოთხოვნებისა და კონტროლის სისტემა“. ტრენინგს ესწრებოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის 20 წარმომადგენელი. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს, ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის სამმართველოსა და ცხოველთა

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის სამმართველოს 11-მა თანამშრომელმა აპრილში მონაწილეობა მიიღო საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის სურსათისა და ვეტერინარული სამსახურის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში: მეფრინველეობის ფერმის რეგისტრაცია, საკანონმდებლო მოთხოვნები და კონტროლის სისტემა, მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა - პირველადი წარმოების მიმართ საკანონმდებლო მოთხოვნები და კონტროლის სისტემა. **მცენარეთა დაცვის კუთხით:** სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩეხეთის სოფლის მეურნეობის ზედამხედველობისა და კვლევითი ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს სეს-ის მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერებას, მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში, რომელიც ჩატარდა 13-15 მაისს, ქ. თბილისში, თემებზე: სასუქები და პესტიციდების ეკოტოქსიკოლოგიური შეფასება. ამავე პროექტის ფარგლებში, სექტემბრის თვეში, სურსათის ეროვნული სააგენტოს 7 თანამშრომელი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჩეხეთში, თემებზე: ევროკავშირის ახალი ფიტოსანიტარული რეჟიმი; ფიტოსანიტარიული ვებ-პორტალი; ფიტოსანიტარიული კონტროლი; ხილის სანერგეების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						კონტროლი, შერჩევა, ჩანაწერების სისტემა; ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნები. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურისა და რეგიონული სამმართველოების ინსპექტორებს აგვისტოსა და სექტემბერში ჩაუტარდათ მეთოდურ-პრაქტიკული სწავლება ტექნიკურ რეგლამენტთან - „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ დაკავშირებით. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომელმა ივნისში, უკრაინის ქალაქ კიევში მონაწილეობა მიიღო ტრენინგში: ანტიმიკრობული რეზისტენტობის (AMR) პრევენცია და კონტროლი „ერთიანი ჯანმრთელობის“ (One Health) ზოგადი მიდგომის ფარგლებში, რომელიც მოიცავს როგორც ვეტერინარულ, ასევე ადამიანის ჯანმრთელობის სფეროებს. **სსიპ - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ სხვადასხვა დონორების ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩაატარა შემდეგი ტრეინინგები და ღონისძიებები:** მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ, ჩატარდა

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ტრეინინგები ინსტრუმენტული კვლევების ლაბორატორიაში, თაფლში ანტიბიოტიკების - მაკროლიდების, პენიცილინების და ცეფალოსპორინების მეთოდების ათვისებაზე. CIB პროექტის მიერ ორგანიზებულ იქნა ტრეინინგი: „ფიტოსანიტარული რისკის ანალიზისა და რისკის შეფასებისთვის CAPRA-ს პროგრამის გამოყენება“. ბათუმის რეგიონული ლაბორატორიის თანამშრომლებს ჩაუტარდა ტრეინინგები თემებზე: საკარანტინო მავნე სოკოს - Tilletia indica-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია (განმასხვავებელი ნიშნები Tilletia-ს გვარის სხვა სახეობებისგან); საკარანტინო სარეველა მცენარეების გამოვლენა და იდენტიფიკაცია; იმუნოფერმენტული ანალიზი (ELISA) - მოკლე, თეორიული და პრაქტიკული კურსი; Monochamus-ების სახეობრივი იდენტიფიკაცია; კარტოფილის ცისტიანი ნემატოდების სახეობრივი იდენტიფიკაცია; Bursaphelenchus-ის და Ditylenchus-ის გვარის ნემატოდების მორფოლოგიის ზოგადი მიმოხილვა. მიმდინარე წელს ჩეხეთის სოფლის მეურნეობის ზედამხედველობის და ტესტირების ცენტრალური ინსტიტუტის მიერ „Capacity building in the phytosanitary area in Georgia“ პროექტის ფარგლებში ქ. თბილისში და შემდგომ ქ. ოლომოუცში ჩატარდა ტრეინინგები.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (Tika) დაფინანსებით, თურქეთში ქ. ანკარაში, მცენარეთა დაავადებების ცენტრალურ კვლევით ინსტიტუტში (Plant Protection Central iInstitute) მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამეტნის სპეციალისტებისთვის ჩატარდა ტრეინინგი სხვადასხვა თემებზე.
35		სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა ან/და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება	დამატებულია დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები ან/და გაფართოებულია აკრედიტაციის სფერო	დანერგილი ახალი მეთოდების რაოდენობა ან/და გაცემული შესაბამისი აკრედიტაციის სერტიფიკატი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს სოფლის მეურეობის სამინისტროს ლაბორატორია	2019 წლის განმავლობაში დაინერგა დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები და გაფართოვდა აკრედიტაციის სფეროები შემდგომი მიმართულებებით: **სურსათის უვნებლობის მიმართულებით:** 1. ნიტროფურანების განსაზღვრა თაფლში სითხურ - ქრომატოგრაფთან შეუღლებული სამმაგ კვადრუპოლიანი მას-სპექტრის(LC/MS/MS) საშუალებით; პარამეტრები: AOZ; AMOZ;AHD;SEM. 2. არადიოქსინის მაგვარი პოლიქლორირებული ბიფენილების რაოდენობრივი განსაზღვრა ცხოველური წარმოშობის სურსათში გაზურ ქრომატოგრაფთან შეუღლებული სამმაგ კვადრუპოლიანი მას-სპექტრომეტრის (GC/MS/MS) საშუალებით; პარამეტრები: PCB 28; PCB 52;PCB 101;PCB 138;PCB 153:PCB180. 3. დითიოკარბამატული პესტიციდების განსაზღვრა გაზური ქრომატოგრაფი მას-სპექტრომეტრის (GC/MS/MS) საშუალებით (დანერგილია და ამჟამად

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						გადაგზავნილია ხარისხის ზედამხ ედველობის კომისიის გადასახედათ); პარამეტრები: მანები, მანკოცები, მეთირამი, პროპინები, თირამი და ზირამი (CS2). 4. უჯერი და ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების განსაზღვრა ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებში და ზეთებში გაზური ქრომატოგრაფი-ალურ იონიზაციური დეტექტორის (FID) გამოყენებით;(დანერგილია,მიმდინარეობს; 5. ”საერთო მჟავიანობა“ - ცხოველთა და ფრინველთა საკვებში; 6. სურსათისა და ცხოველური საკვების მიკრობიოლოგია - ჰორიზონტალური მეთოდი Shigella spp გამოვლენისათვის 21567:2004; 7. E. coli - სა და კოლიფორმული ბაქტერიების გამოვლენა ნაწილი 2 - ყველაზე შესაძლო რიცხვის გამოთვლის მეთოდი (სსტ ისო 9308-2:2012/2013) 8. შიგელა წყალში - The Microbiology of Drinking Water (2006) - Part 9 - Methods for the isolation and enumeration of Salmonella and Shigella by selective enrichment, membrane filtration. 9. მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში და თაფლში: დითიოკარბამატული პესტიციდების (დითიოკარბამატები გამოსახული, როგორც CS2, მანების, მანკოზების, მეთირამის, პროპინების, თირამის და ზირამის ჩათვლით) რაოდენობრივი განსაზღვრა გაზური ქრომატოგრაფი -

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						სამმაგ კვადრუპოლიანი მას-სპექტრომეტრის (GC/MS/MS) გამოყენებით. 10. სურსათში, რომელიც შეიცავს ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს და ზეთებს: უჯერი და ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების განსაზღვრა გაზური ქრომატოგრაფი - ალურ იონიზაციური დეტექტორის (FID) გამოყენებით. **ვეტერინარიის მიმართულებით:** 1. ბლუთანგის დაავადების ELISA და PCR კვლევის მეთოდი; 2. ძაღლის ჭირის დიაგნოსტიკის ELISA მეთოდი 3. ლეპტოსპიროზის კვლევის -ELISA, 4. ღრუბლისებური ენცეფალოპათია- ELISA მეთოდი. **მცენარეთა დაცვის მიმართულებით:** 1. ციტრუსოვანთა შავი ფრთათეთრას Aleurocanthus woglumi -ის მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია. 2. დიოდია თელვადის (Diodia teres Walt.) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევა; 3. პალმის ჩრჩილის Paysandisia archon-ის მორფოლოგიურ იდენტიფიკაცია; 4. ქერქიჭამიების (Scolytidae) ოჯახის წარმომადგენლების გამოვლენა და მორფოლოგიურ იდენტიფიკაცია (გვარის დონეზე); 5. ფიტოჰელმინთების დროებითი და მუდმივი პრეპარატის დამზადება; 6. სველი სიდამპლის გამომწვევი პათოგენების Pectobacterium carotovorum-ის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						და P. atroseptikum -ის გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიურიიდენტიფიკაცია; 7. ანწლი უბისებრის (Iva axillaris Pursh.) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევა; 8. ბაქტერია Pseudomonas avellanae პჯრ იდენტიფიკაცია; 9. ფესვის გალებიანი ნემატოდის Meloidogyne chitwoodi -ის პჯრ იდენტიფიკაცია; 10. კარტოფილის ტუბერების PSTVd ვიროიდის პჯრ იდენტიფიკაცია; 11. ქერის ხაზოვანი მოზაიკის ვირუსისთვის (Barley stripe mosaic virus (BSMV) დეტექცია იმუნოფერმენტული (ELISA) მეთოდით; 12. ვაზის ლაქიანობის ვირუსი (GFkV) დეტექცია იმუნოფერმენტული (ELISA) მეთოდით; 13. არაბისის მოზაიკის ვირუსისთვის (ArMV)დეტექცია იმუნოფერმენტული (ELISA) მეთოდით. 14. Melapsora medusae-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია; 15. კროტონი თავიანის (Croton capitatus Michx.) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევა; 16. რაიმანია გაპობილის (Raimania laciniata L.) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევა. 17. პალმის წითელი ცხვირგრძელას Rhynchophorus ferrugineus - ს მორფოლოგიურ-მორფომეტრული იდენტიფიკაცია;

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						18. შენახული პროდუქტების მავნე ქერცლფრთიანების მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; 19. ვაზის კვირტის ტკიპას Eriophyes vitigineusgemma-ს მორფოლოგიურ-მორფომეტრული იდენტიფიკაცია; 20. Radopholus similis - მორფოლოგიურ-მორფომეტრული იდენტიფიკაცია; 21. Aphelenchoides besseyi მორფოლოგიურ-მორფომეტრული იდენტიფიკაცია; 22. Longidorus elongatus მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათების და იდენტიფიკაცია; 23. ბაქტერია Xanthomonas fragariae მულტიპლექს პჯრ-ით დეტექცია; 24. Agrobacterium tumefaciens, Agrobacterium vitis იდენტიფიკაცია პჯრ-ით; 25. Pseudomonas syringae pv. Aesculi იდენტიფიკაცია პჯრ-ით; 26. Pantoea stewartii subsp. Stewartii იდენტიფიკაცია პჯრ-ით.
36		სასაზღვრო კონტროლში ჩართული კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობების განვითარებასა და ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ევროკავშირის	გადამზადებული თანამშრომლები სასაზღვრო კონტროლის პროცედურებს ახორციელებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	სსიპ შემოსავლების სამსახური საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გადამზადებულია 144 თანამშრომელი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგები სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურებზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		მოთხოვნების შესაბამისად.			სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორია	თანამშრომლებისთვის. ტრენინგები ჩაატარეს ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურის სასაზღვრო კონტროლის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა. ტრენინგები ჩატარდა სექტემებერში- „სარფის“ (ადლია) და ნოემბერში „წითელი ხიდის“ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებზე, რომელთა მშენებლობა და აღჭურვა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად დასრულდა 2018 წელს. შესაბამისად ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. სწავლების შედეგად გადამზადდა 42 თანამშრომელი. ტრენერების ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 29 თანამშრომელმა, რომლებიც შემდგომში გადაამზადებენ სხვა თანამშრომლებს.
37	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** საქართველოს მხარდაჭერა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში რისკის ანალიზის გაძლიერების მიზნით; სასაზღვრო შემმოწმებელ პუნქტებზე ვეტერინარული ფიტოსანიტარიისა და	დაახლოებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარება	სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის "სადახლოს“ სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისთვის აუცილებელი შენობების მშენებლობა დასრულებულია. პუნქტი სრულად აღჭურვილია	სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი "სადახლო“ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.	შემოსავლების სამსახური	18 დეკემბერს ოფიციალურად გაიხსნა სადახლოს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	საკვების უსაფრთხოების შემოწმებათა უზრუნველყოფა					
			საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა			
38	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** მხარეები ითანამშრომლებენ ქართული კანონმდებლობის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართში მოცემულ ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისთვის მოსამზადებლად. დაახლოება უნდა განხორციელდეს ევროკავშირის საბაჟო	კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება ახალი საბაჟო კოდექსის შესაბამისად	კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა შესაბამისობაშია ახალ საბაჟო კოდექსთან	მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2019 წლის 1-ლი სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც სრულად პასუხობს ევროკავშირის სტანდარტებს. მოხდა მეორადი კანონმდებლობის შემუშავება და დამტკიცება, (51 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი). მიმდინარეობს მუშაობა შემდგომი დახვეწის და განახლების მიმართულებით. 8-10 ივლისს GIZ-ის დახმარებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა საბაჟო კოდექსის იპლემენტაციისათვის საჭირო მეორეულ კანონმდებლობაზე მუშაობის გასაგრძელებლად. სამუშაო შეხვედრას, რომელსაც გერმანელი ექსპერტები უძღვებოდნენ, დაესწრნენ GRS-სა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები
39		შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა ინსტიტუციონალური განვითარება ახალი საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის განხორციელების მიზნით	შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების ამაღლებული ცოდნა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობის საკითხებში	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა ან/და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2019 წლის 21-25 ოქტომბერს მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა სადაც განხილეს ახალი საბაჟო რეგულაციების ზოგიერთი თავისებურებები და იმპლემენტაციის სხვა საკითხები

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
40	ჩანაცვლება კავშირის საბაჟო კოდექსით	კერძო სექტორის წარმომადგენელთა ინფორმირება ახალი საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით	კერძო სექტორის წარმომადგენლებს გაზრდილი ინფორმირებულობა საბაჟო სფეროს ახალი რეგულაციების და კანონმდებლობის მოთხოვნების მიმართ	კერძო სექტორისთვის ჩატარებული შეხვედრებისა და მასში მონაწილეთა რაოდენობა	შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2019 წლის 15 აგვისტოს გაიმართა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის შეხვედრა სადაც კერძო სექტორის წარმომადგენლ ასოციაციებს მიეწოდა ინფორმაცია ახალი საბაჟო რეგულაციების შესახებ; 2019 წლის 15 ნოემბერს გაიმართა ვაჭრობის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სადაც კერძო სექტორის წარმომადგენელ ასოციაციებთან ერთად მოხდა ახალი საბაჟო რეგულაციების განხილვა.
41	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი სისტემის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის სისტემასთან	ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა ინსტიტუციონალური განვითარება	გაზრდილია თანამშრომლების ცოდნა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობის საკითხებში	ჩატარებული ტრეინინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შემოსავლების სამსახური	USAID G4G-ს დახმარების ფარგლებში 5-7 მარტს განხორციელდა საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების ტრენინგი საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის. USAID G4G-ის ხელშეწყობით, ჩატარდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) ტრენინგი.
42		კერძო სექტორის წარმომადგენელთა ინფორმირება ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის შესახებ	გაზრდილია კერძო სექტორის წარმომადგენლებს ცნობიერება ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის შესახებ	კერძო სექტორის წარმომადგენელთა თვის ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შემოსავლების სამსახური	2019 წლის 15 აგვისტოს გაიმართა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის შეხვედრა სადაც კერძო სექტორის წარმომადგენლ ასოციაციებს მიეწოდა ინფორმაცია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის შესახებ. 2019 წლის 15 ნოემბერს გაიმართა ვაჭრობის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სადაც კერძო სექტორის წარმომადგენელ ასოციაციებთან ერთად მოხდა ავტორიზებული ეკონომიკური

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ოპერატორის პროგრამის მომწესრიგებელი რეგულაციების განხილვა.
43	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** თანამშრომლობა რისკის შემცველ საბაჟო კონტროლზე და შესაბამისი ინფორმაციის გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს რისკების მართვისა და მომარაგების ჯაჭვის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობას და იმპორტირებული, ექსპორტირებული თუ სატრანზიტო	საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) რეგულაციების ამოქმედება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა	საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) სისტემის ეტაპობრივი ამოქმედება	საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) მიღებული ახალი რეგულაციების ეტაპობრივი ამოქმედების შედეგად ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის დაწყება და ფუნქციონირებადი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	შერჩეული იქნა პროექტის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი კომპანია. პროექტის პრეზენტაციები 2019 წლის 2-3 აპრილს გაიმართა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 1 ივნისის ბრძანებით N213 ცვლილებები შევიდა ფინანსთა მინისტრის N290 ბრძანებაში რომლითაც გაიწერა API/PNR-ის სისტემის სამართლებრივი საფუძვლები.
44	საქონლის უვნებლობასა და უსაფრთხოებას	საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით, საბაჟოს შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგი	საქართველოს საზღვრებზე ხორციელდება ინტელექტუალური საკუთრების ეფექტური დაცვა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად შეცვლილი ქართული კანონმდებლობის მიხედვით	ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური	შემოსავლების სამსახური განაგრძობს საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით, საბაჟოს შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგს. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს საბაჟო დეპარტამენტის ოფიციალურმა სამსახურმა გამოსცა 3 ბრძანება საეჭვო საქონლის *Ex officio* შეჩერების შესახებ. საზღვარზე შეჩერებული საქონლის ჯამური ღირებულება 39 389 ლარია.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
45	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** საქართველოსთვის დახმარების გაწევა ტრანზიტის საერთო პროცედურების კონვენციასთან მიერთების პროცესში	კონვენციასთან დაახლოების/მიერთების მიზნით, საერთო სატრანზიტო პროცედურების დანერგვის ხელშეწყობა NCTS ელექტრონული სისტემის მეშვეობით	კონვენციის წევრ ქვეყნებთან, კონვენციით გათვალისწინებული, ტრანზიტის პროცედურების განხორციელების თვის მომზადება	NCTS ელექტრონული სისტემის შექმნა და ტესტირება, შესაბამისი სატრანზიტო პროცედურების ნორმატიული აქტების მიღება	შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	დასრულდა მუშაობა პირველადი კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზზე. მომზადდა შესაბამისი ცვლილებების პროექტი. მიმდინარეობს მუშაობა მეორადი კანონმდებლობის ანალიზის კუთხით.
46		საბაჟოს თანამშრომლების ტრენინგი საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების ეფექტიანი აღსრულების მიზნით	საბაჟოს თანამშრომლები ფლობენ საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების აღსრულებისათვის საჭირო ცოდნისა და ინფორმაციას	ტრეინინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დამმობილების პროექტის ფარგლებში - "ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC) კონვენციასთან მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვის ხელშეწყობა", მიმდინარე წლის 27 მაისი 7 ივნისის ჩათვლით პერიოდში, განხორციელდა შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი პოლონეთისა და ფინეთის საბაჟო ადმინისტრაციებში. ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია გაეცნო პოლონეთისა და ფინეთის საბაჟო გამშვებ პუნქტებსა და საბაჟო ადმინისტრაციულ ოფისებში ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმებს, მისი მუშაობის სპეციფიკას,
47		კერძო სექტორის წარმომადგენელთა ინფორმირება საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების მოთხოვნების	საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის მოთხოვნების განხორციელებისა თვის საჭირო ცოდნა და	კერძო სექტორისთვის ჩატარებული შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის N6570 ბრძანებით შეიქმნა „საკონტაქტო ჯგუფი“ რომელის წევრებიც, შემოსავლების სამსახურთან ერთად არიან: - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		განხორციელების ხელშეწყობის მიზნით	ინფორმაცია გავრცელებულია			- საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის წარმომადგენელი; - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა; - ბიზნეს ასოციაცია; - საქართველოს ბანკების ასოციაცია; - საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია; - საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია GIRCA; - საქართველოს რკინიგზა; - საერთაშორისო ექსპედიტორთა ეროვნული ასოციაცია; - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია. ჯგუფის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს „ტრანზიტის საერთო პროცედურებისა“ და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ განხორციელების (სისტემის დანერგვის პროცესის) ზედამხედველობა.
მომსახურებით ვაჭრობა						
48	**ასოცირების შესახებ შეთანხმება თავი 6; ნაწილი 6 და ასოცირების დღის წესრიგი 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია	“ელექტრონული კომერციის შესახებ” საქართველოს კანონის მიღება	შემუშავებული ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ელექტრონული კომერციის სამართლებრივი ბაზა.	მიღებულია საქართველოს კანონი "ელექტრონული კომერციის შესახებ"	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მომზადებულია საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ,“. კანონპროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში დაგეგმილია 2020 წელს.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
49	**ასოცირების შესახებ შეთანხმება თავი 6; ნაწილი 5; ქვენაწილი 4 და ასოცირების დღის წესრიგი 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია	"ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება	ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი საფოსტო სფეროს სამართლებრივი ბაზა. საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.	მიღებულია "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კანონის პროექტი „ფოსტის შესახებ“ გაეგზავნა კერძო სექტორს შენიშვნებისთვის. უწყებებიდან და კერძო სექტორიდან მიღებული შენიშვნები ასახული იქნა კანონის პროექტში. 2019 წლის დეკემბერში დაიწყო შიდა პროცედურები პარლამენტში კანონპროექტის ინიცირებისთვის.
50	**ასოცირების შესახებ შეთანხმება; დანართი XV-B; სატელეკომუნიკაციო მომსახურეობისათვის განსაზღვრული წესები:** საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივასთან (2002/22/EC) და ავტორიზაციის დირექტივის (2002/20/EC) სიხშირულ ნაწილის გარკვეულ მუხლებთან	ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას თან დაახლოებული საქართველოს საკანონმდებლო ბაზა	მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების II პაკეტი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	აღნიშნულ დირექტივებთან დაახლოების მიზნით მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“.
51	**ასოცირების შესახებ შეთანხმება; დანართი XV-B; სატელეკომუნიკაციო მომსახურეობისათვის განსაზღვრული წესები:** საქართველოს	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციები ს	ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას თან დაახლოებული საქართველოს	მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, გახორციელდა კერძო სექტორის შენიშვნების და კომენტარების შეგროვება/ანალიზი. უახლოეს პერიოდში დაიწყება ოფიციალური პროცედურები

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	შესახებ დირექტივას (2002/58/EC); ავტორიზაციის შესახებ დირექტივას (2002/20/EC); დაშვების შესახებ დირექტივასა (2002/19/EC) და ჩარჩო დირექტივასთან (2009/140/EC)	საკანონმდებლო ბაზა		საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	კანონპროექტის დადგენილი წესით დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტში წარსადგენად.
საჯარო შესყიდვები						
52	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები**: შესყიდვების პოლიტიკასა და მის შესრულებაზე მოქმედი დაგეგმილი საკანონმდებლო სამუშაოს თაობაზე ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებას, რაც გულისხმობს საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო დაახლოებასა და უწყებათა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც. 2016 წლის 31 მარტს, საქართველოს	საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის მიღება ევროკავშირის 24/2014/EU და 89/665/EEC დირექტივებთან დაახლოების მიზნით	საჯარო შესყიდვების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას თან	საჯარო შესყიდვების შესახებ მიღებული ახალი კანონი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	საჯარო შესყიდვების სფეროს კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ახალი ინსტიტუციური მოწყობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაზრდილ ხარისხს. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ინტენსიური თემატური კონსულტაციები ევროკომისიის (DG GROW), OECD SIGMA-სა და ევროკავშირის დამმობილების პროექტის კონსულტანტებთან. ახალ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით წინასწარი პრეზენტაცია გაიმართა, ასევე საქართველოს პარლამენტში. მიმდინარე წლის დეკემბერში აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	მთავრობამ მიიღო ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა (Comprehensive Roadmap), რომელიც მოიცავს 2016 წლიდან 2022 წლამდე შესასრულებელ მოქმედების ხუთ ფაზას. მხარეები გააგრძელებენ მსჯელობას სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე, უზრუნველყოფენ რა საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს					საჯარო შესყიდვების შესახებ მომზადებულ ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაასრულა კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც დაეგზავნა საქართველოს მთავრობასა და დაინტერესებულ უწყებებს შენიშვნებისათვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კანონპროექტთან დაკავშირებული შენიშვნების ასახვა კანონპროექტის საბოლოო რედაქციაში. აღსანიშნავია, რომ ახალ კანონპროექტში ასევე აისახა თავდაცვის სფეროში საჯარო შესყიდვების მარეგულირებელი ევროკავშირის დირექტივის 2009/81/EC დებულებები, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით შექმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ, დაასრულა მუშაობა.
53	კანონმდებლობის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან დაახლოებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებით და საქართველოს	საჯარო შესყიდვების შესახებ მიღებული ახალი კანონმდებლობის შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადება და მიღება	საჯარო შესყიდვების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას თან	მომზადებული და მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	მიმდინარეობს კომპეტენციების განაწილების პროცესი საჯარო შესყიდვების მარეგულირებელ ძირითად და მეორად კანონმდებლობას შორის.
54	მთავრობის 2016 წლის 31 მარტის #536 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით (დანართი I, ფაზა II, გზამკვლევის თავი 4.3.2.1. და 4.3.2.2.).	საჯარო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში (e-Procurement) ახალი ელ. სერვისებისა და პროცედურების დანერგვა	საჯარო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება საკანონმდებლო ცვლილებებთან	საჯარო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში დანერგილი ახალი ელ. სერვისები და პროცედურები	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის (e-Procurement) გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის სხვა საჯარო უწყებებთან ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის კუთხით. ამ მხრივ, აღსანიშნავია გამარტივებული

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			შესყიდვების (CMR) მოდულში CPV კოდების მითითების შესაძლებლობის დამატება და ხელშეკრულებასთან და მასთან გათანაბრებული დოკუმენტების ტიპების გამიჯვნა, რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს უფრო მეტად დაზუსტებული ინფორმაცია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებულ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესში“ განხორციელდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ასევე ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტი, ნაცვლად CMR მოდულისა, ატვირთონ კონსოლიდირებული ტენდერის შესაბამის ველში. ხსენებული ცვლილებები ამოქმედდა 2019 წლის პირველი სექტემბრიდან. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვანია მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დანერგილი სიახლე, რომლის მეშვეობითაც ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის ხელმისაწვდომი გახდა

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ხელშეკრულების გაფორმების თარიღსა და დაფინანსების წელთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სისტემის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდა ასევე, ფაქტობრივი გადახდის განხორციელების შესახებ ინფორმაცია როგორც სახელმწიფო ხაზინიდან, ასევე საკუთარი სახსრებით გადახდის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სააგენტომ უზრუნველყო სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ადაპტირება ხსენებული ცვლილებების შესაბამისად, იმგვარად, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეუფერხებლად შეძლონ შესყიდვის განხორციელება კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.
55		ტრენინგების განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების კუთხით	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	მიმდინარე წლის 15 – 16 თებერვალს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, სოფელ კაჭრეთში გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საკითხებს. მიმდინარე წლის 25 – 27 თებერვალს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს ბორჯომში გამართულ ტრენინგში

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						„პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევა: მულტინაციონალურ კორპორაციებსა და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით პრინციპების სამმხრივი დეკლარაციის (MNE) მიდგომა და მთავრობის როლი შრომითი ურთიერთობების პრაქტიკის გაუმჯობესებაში“. მიმდინარე წლის 10 – 12 აპრილს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ტაშკენტში (უზბეკეთის რესპუბლიკა) მსოფლიო ბანკის (World Bank), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), აზიის განვითარების ბანკის (ADB), ისლამური განვითარების ბანკისა (ISDB) და უზბეკეთის მთავრობის მხარდაჭერით გამართულ საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ რიგით მე-15 საერთაშორისო ფორუმში Procurement, Integrity, Management and Opennes (PRIMO) Forum. მიმდინარე წლის 17 – 18 მაისს, ევროკავშირის დამმობილების (Twinning) პროექტის „სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება საქართველოში ფარგლებში, სოფ. კაჭრეთში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) გაიმართა მედია ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში მოქმედი მას-მედიის წარმომადგენლებისთვის სრულყოფილი

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ინფორმაციის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების თაობაზე, რათა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მოხდეს საზოგადოებისთვის. მიმდინარე წლის 19 – 24 მაისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის დამმობილების (Twinning) პროექტის „სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება საქართველოში ფარგლებში ორგანიზებულ სასწავლო ვიზიტში ქ. ლუბლიანაში. ვიზიტი მიზნად ისახავდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის სისტემის ინსტიტუციურ მოდელს და ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაცნობას ამ კუთხით. მიმდინარე წლის 15 – 16 ივნისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ორგანიზებით, ბორჯომში გაიმართა გასვლითი ღონისძიება/სასწავლო ვიზიტი მოსამართლეებისთვის. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა ქართველი კოლეგებისთვის ევროპელი მოსამართლეების მიერ ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას საჯარო შესყიდვების სფეროში სასამართლო დავების განხილვის პროცედურების კუთხით. მიმდინარე წლის 23 – 30 ივნისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						მიიღეს ევროკავშირის დამმობილების (Twinning) პროექტის „სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება საქართველოში მიერ ორგანიზებულ სასწავლო ვიზიტში ქ. ვენაში (ავსტრიის რესპუბლიკა), რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაცნობას. მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და სავაჭრო სამრეწველო პალატის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო ევროკავშირის ვალდებულებების შესრულების მიზნით შემუშავებული საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონპროექტის ძირითადი მიმართულებების გაცნობა. მიმდინარე წლის 3 სექტემბერს, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UN Environment) ორგანიზებით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობით გაიმართა მოსამზადებელი შეხვედრა თემაზე “Sustainable Public Procurement in Georgia”. შეხვედრის ფარგლებში მოხდა თანამშრომლობის ფორმატისა და სამომავლო ქმედებების შეჯერება დაინტერესებულ მხარეებს შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						განვითარების სამინისტროს და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. მიმდინარე წლის 1-2 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აზიის განვითარების ბანკის მიერ ორგანიზებულ რიგით მე-5 კონფერენციაში აზია - წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში არსებულ ელექტრონულ შესყიდვებთან (APPeN) დაკავშირებით ქ. მანილაში (ფილიპინების რესპუბლიკა). აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა ელექტრონული შესყიდვების სფეროში დანერგილი ინოვაციებისა და ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობას კონფერენციის მონაწილეებისთვის. მიმდინარე წლის 6-15 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა სასწავლო პროგრამის „Metra Rule of Law" ფარგლებში, ევროკავშირში საჯარო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, მონაწილეობა მიიღო საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სემინარში, რომელიც ჩატარდა ქ. ჰააგაში (ნიდერლანდების სამეფო). მიმდინარე წლის 24-28 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის TAIEX-ის მხარდაჭერით, საუკეთესო

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასწავლო ვიზიტით ეწვივნენ ქ. ლისაბონს (პორტუგალიის რესპუბლიკა). ვიზიტის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლებმა ოფიციალურ დონეზე შეხვედრები გაიმართეს პორტუგალიის სხვადასხვა საჯარო უწყების წარმომადგენლებთან, მათ შორის პორტუგალიის საჯარო შესყიდვების, უძრავი ქონებისა და მშენებლობის სახელმწიფო უწყების (IMPIC), პორტუგალიის ეროვნული საჯარო შესყიდვების ელექტრონული სისტემის ადმინისტრაციის (eSPap), ასევე პორტუგალიის გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს (APA) წარმომადგენლებთან. მიმდინარე წლის 9 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის 10 – 14 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის (UNCITRAL) მხარდაჭერით გამართულ ორ საერთაშორისო სემინარში. აღნიშნული სემინარების ფარგლებში,

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						შეხვედრის მონაწილეებს შორის განხილულ იქნა საჯარო შესყიდვების სფეროში არსებული მიღწევები და მიმდინარე გამოწვევები.
56		ტრენინგების განხორციელება შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორების და სხვა დაინტერესებული მხარეების გაზრდილი შესაძლებლობები	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გადამზადებული თანამშრომელების რაოდენობა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების 25 ციკლი, რომლის ფარგლებშიც ჯამში გადამზადდა 700 მსმენელი. ტრენინგების 10 ციკლი დაეთმო „სახელმწიფო შესყიდვების კურსს“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების შესყიდვების კუთხით დასაქმებული, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული 391 სპეციალისტი. აღნიშნული კურსი გრძელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც მსმენელებს გადაეცემათ სერთიფიკატი. ტრენინგების 15 ციკლი დაეთმო ერთდღიან კურსს სახელწოდებით „სიახლეები სახელმწიფო შესყიდვებში“, რომლის ფარგლებშიც სულ გადამზადდა 309 მსმენელი. აღნიშნული კურსი განკუთვნილია უკვე სერთიფიცირებული სპეციალისტებისთვის და მოიცავს ყველა იმ სიახლეს რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ინერგება.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			ინტელექტუალური საკუთრების უფლებები			
57	**ასოცირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება:** აღსრულების კუთხით, შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების კომპეტენციის გაძლიერება, ისევე, როგორც სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებულ იქნას უფლების მფლობელობისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების ეფექტური იმპლემენტაცია.	შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, მოსამართლეთა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სასამართლო სისტემის გაუმჯობესებული მუშაობა.	შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები სათვის, მოსამართლეებისა და ადვოკატებისათვის ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	2019 წლის 20 ივლისს, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP), საქართველოში ამერიკის საელჩოს და საქპატენტის ორგანიზებით, ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა ინტელექტუალური საკუთრების საქმეებთან დაკავშირებით“.
58	**ასოცირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება:**	საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრეინინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და	საქპატენტის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების გაძლიერება, რაც შესაძლებელს გახდის უკეთ	თანამშრომელთათვის ორგანიზებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	2019 წლის იანვრის თვეში საქპატენტი შეუერთდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) მიერ ადმინისტრირებად პროგრამას - „მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერს (MGS)“. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით ქართველ მომხმარებლებს,

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებულ იქნას სამრეწველო საკუთრების უფლებებისა და საავტორო უფლებების დაცვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან თანამშრომლობის გაფართოება.	სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება	შეასრულოს მისი ძირითადი ფუნქციები (სამრეწველო საკუთრების უფლებების და საავტორო უფლებების დაცვა).			საერთაშორისო განაცხადის წარდგენისას, შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ქართული ინტერფეისით და საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალი შეადგინონ ქართულ ენაზე, რაც მათ გაუადვილებს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნის გავრცელების პროცედურას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამა, მომხმარებელს საშუალებას აძლევს საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალი ელექტრონულად თარგმნოს 19 სხვადასხვა ენაზე, რომელთა შორის უკვე არის ქართული ენა. მადრიდის სისტემა სასაქონლო ნიშნის დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომელიც განმცხადებელს აძლევს შესაძლებლობას ერთ ენაზე, ერთი განაცხადის წარდგენით, დაიცვას სასაქონლო ნიშანი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) წევრ 119 ქვეყანაში. 2019 წლის 8 აპრილიდან 11 აპრილის ჩათვლით, შვეიცარიის კონფედერაციის ქ. ჟენევაში გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინების კანონის მუდმივმოქმედი კომიტეტის 41-ე სესია. აღნიშნული სესიის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო ალიანსის, OriGIn-ის ხელმძღვანელობასთან, სადაც განხილულ

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						იქნა OriGIn-ის 2019 წლის გენერალური ასამბლეის თბილისში ჩატარების დეტალები. საქპატენტის წარმომადგენელმა ასევე, მიიღო მონაწილეობა OriGIn-ის მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომლის მიზანიც იყო ისმო-ს წევრ ქვეყნებს შორის ცნობიერების ამაღლება, უცხო ქვეყნების იურისდიქციებსა და ინტერნეტში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის გამარტივების მიმართულებით. სესიის ფარგლებში, ასევე გაიმართა შეხვედრა უკრაინის დელეგაციასთან. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს „საქართველოსა და უკრაინას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოსაწერად მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი. 2019 წლის 15 აპრილს, საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობისა და ევროკავშირში არსებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემასთან ჰარმონიზების მიზნით, დაიწყო სამუშაო შეხვედრების სერია, რაც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის (Twinning) პროექტის განხორციელების პირველი ეტაპის ფარგლებში მიმდინარეობს. საქართველოს ეწვივნენ იტალიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები,

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						რომლებმაც დეტალურად გააცნეს საქპატენტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ევროკავშირში, მათ შორის იტალიაში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა და არსებულ კონტროლის სისტემა. ასევე, განიხილეს გეოგრაფიულ აღნიშვნებზე უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ მაგალითები. 2019 წლის 13 მაისს, „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია იტალიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაცია. შეხვედრაზე განიხილეს ,,საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტი, ასევე დეტალურად იქნა შესწავლილი აღნიშნული ცვლილებების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი. 2019 წლის 15 მაისს, საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფ აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის გენერალურ მრჩეველთან გაიმართა საქპატენტის ხელმძღვანელობის შეხვედრა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქპატენტის და CLDP-ს

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე და სამომავლო ერთობლივი პროექტები. 2019 წლის 25 ივლისს საქპატენტში გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მიმდინარე დამმობილების პროექტის ''საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის" მმართველი კომიტეტის რიგით მეორე შეხვედრა, სადაც წარდგენილ იქნა პროექტის მომდევნო 6 თვის სამუშაო გეგმა და შესრულებული სამუშაოები. ზემოაღნიშნული გეგმა ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, კანონქვემდებარე აქტების შესწავლას, გადამუშავებას და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი მარეგულირებელი აქტების შემუშავებას. ამასთან, გეგმის თანახმად, მოხდება პროექტში ჩართული ბენეფიციარებისა და მწარმოებელთა გაერთიანებების/ასოციაციების რესურსების შეფასება, მათი საჭიროებების დადგენის მიზნით. 2019 წლის 16-20 სექტემბერს WIPO-ს აკადემიისა და საქპატენტის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, საქპატენტში ჩატარდა ინგლისურენოვანი პროფესიული განვითარების საერთაშორისო სასწავლო კურსი - „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ". აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში საქართველოს წარმატებული გამოცდილების და დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, საქართველო გახდა

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						პირველი ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, სადაც WIPO-ს აკადემიის გადაწყვეტილებით, პროფესიული განვითარების კურსი ტარდება. კურსი განკუთვნილია სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და შესაბამისი სამინისტროების ექსპერტებისათვის და მიზნად ისახავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. მასში მონაწილეობა მიიღეს 13 ქვეყნის 16 წარმომადგენელმა. აღნიშნულ კურსს საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, გაუძღვნენ WIPO-ს მიერ სერთიფიცირებული საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენერები. 2019 წლის სექტემბრის თვეში საქპატენტი მიუერთდა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) DesignClass-ის ინსტრუმენტს, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოიძიოს და თარგმნოს პროდუქტის დასახელებები 27 ენაზე, მათ შორის, ქართულ ენაზეც. აღნიშნული დასახელებები ჰარმონიზებულია ინტელექტუალური საკუთრების 30 უწყების მიერ. EUIPO-სა და საქპატენტს შორის თანამშრომლობა, 2015 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება. DesignClass-თან მიერთების მიზანი, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მომხმარებლებისთვის, DesingClass-თან ჰარმონიზებულ უწყებებში, დიზაინების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივებაა. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა DesingClass-თან ევროკავშირის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						არაწევრი ქვეყნის მიერთების პირველი პრეცედენტია. 2019 წლის ოქტომბრის თვეში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას (EPO) შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ერთიანი ევროპული საპატენტო განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება მასზე გაცემული ევროპული პატენტის საქართველოს ტერიტორიაზე ვალიდირება, რაც საერთაშორისო განმცხადებლებს გაუმარტივებს საქართველოში გამოგონებების დაპატენტების პროცედურას. 2019 წლის 16 ნოემბერს საქპატენტმა უმასპინძლა გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროს ექსპერტებსა და ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტის მწარმოებელთა ასოციაციების წარმომადგენლებს. ღონისძიება გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის დანერგვა“ ფარგლებში. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მწარმოებლებისა და ასოციაციების რესურსების შეფასება და მათი საჭიროებების დადგენა, რათა მომავალში მათ შეძლონ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემაში თავიანთი

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						როლისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა. მონაწილეები ასევე, გაეცნენ ,,საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტს.
59	**ასოცირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება:** ინტელექტუალური საკუთრებისა და სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება და უფლების მფლობელებთან ეფექტური დიალოგის უზრუნველყოფა.	ევროპის ინტელექტუალური საკუთრების ოფისთან (EUIPO), სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის გაიდლაინების იმპლემენტაციის პროექტის განხორციელების დაწყება	საქპატენტის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების გაძლიერება, რაც შესაძლებელს გახდის უკეთ შესრულოს მისი ძირითადი ფუნქციები (სამრეწველო საკუთრების უფლებების და საავტორო უფლებების დაცვა)	სასაქონლო ნიშნებსა და დიზაინებზე ექსპერტიზის გაიდლაინების შემუშავებასთან დაკავშირებით დაწყებულია შესაბამისი ქმედებები	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	ხელი მოეწერა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ (EUGIPP) ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივ პროექტს. პროექტის განხორციელება დაიწყება 2020 წლიდან.
60		ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	გადამზადებული პირების რაოდენობა	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	2019 წლის 23 იანვარს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პირებმა შეხვედრა გამართეს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან. შეხვედრა, მიზნად ისახავდა ორგანიზაციის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ობიექტებისა და საქპატენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. საქპატენტის თანამშრომლებმა შეხვედრის ფარგლებში ჩატარებული პრეზენტაციით - „ინტელექტუალური

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						საკუთრება“, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ინფორმაცია მიაწოდეს ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტთან დაკავშირებით. 2019 წლის 21 იანვარს საქპატენტში შეხვედრა გაიმართა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრა მოეწყო სტუდენტური კლუბის „E Pluribus Unum“-ის წევრების ინიციატივით, რომლებიც დაინტერესდნენ საქპატენტის საქმიანობით. ღონისძიებას დაესწრო 30 სტუდენტი. შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა პრეზენტაციები, რომლითაც სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის ფუნქციონირებისა და საქპატენტის საქმიანობის შესახებ. სტუდენტებს, ასევე გააცნეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტები უშუალოდ გაეცნენ საქპატენტში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ექსპერტიზის პროცედურებს. 2019 წლის იანვრის თვეში დაიწყო რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის დისტანციური სწავლების ზოგად კურსზე (DL101GE), რომლის გავლა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ქართულ ენაზე შეეძლება. აღნიშნული კურსის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ქართულენოვანი ვერსია შემუშავდა საქპატენტის მიერ, WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში. აღნიშნული კურსის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. 2019 წლის აპრილის თვეში დაიწყო რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის დისტანციური სწავლების ზოგად კურსზე (DL101GE), რომლის გავლა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ქართულ ენაზე შეეძლება. აღნიშნული კურსის ქართულენოვანი ვერსია შემუშავდა საქპატენტის მიერ, WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში. აღნიშნული კურსის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. 2019 წლის 22-25 აპრილს საქპატენტთან არსებულ სასწავლო ცენტრში ჩატარდა სასწავლო კურსი „საპატენტო ძიება“, რომელიც მოიცავს საპატენტო სისტემის მიმოხილვას და საპატენტო-საინფორმაციო ძიების ტექნიკის გაცნობას. კურსი განკუთვნილი იყო უნივერსიტეტების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებისთვის. კურსის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის საბაზისო ცოდნის მიღება საპატენტო ინფორმაციის მნიშვნელობის, ძირითადი

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						საძიებო სისტემების და საძიებო ტექნიკის შესახებ. 2019 წლის 7-8 მაისს საქპატენტის ორგანიზებით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO) თანამშრომლობით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თანამედროვე მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის - დიზაინის, როგორც ბიზნესის წარმატებისა და პროდუქტის ეკონომიკური ღირებულების გაზრდის მნიშვნელობის განხილვას. ასევე, ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნული ობიექტის პოპულარიზაციას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან დიზაინის დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და აღნიშნული მიმართულების განვითარებას. 2019 წლის 18 მაისს, საქპატენტის ფინანსური მხარდაჭერით, გაიმართა მევენახეთა პირველ კონფერენცია, სადაც იმსჯელეს მევენახეთა სექტორში არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზებზე. გამართულ ღონისძიებაზე, დამსწრე პირებმა განიხილეს გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და კონტროლის სისტემა, გაეცნენ წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას და იმსჯელეს მძლავრი ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნის აუცილებლობაზე. მევენახეთა

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						კონფერენციას, დაესწრო 300-ზე მეტი მევენახე, მეღვინე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე, აგრარული მიმართულების სტუდენტები. 2019 წლის 20 მაისს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) კვლევებისა და ინოვაციების ჰაბში, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ფაკულტეტების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საჭიროების შესახებ. ასევე, მათ მიიღეს ინფორმაცია საპატენტო სისტემასა და საქპატენტის სერვისებზე. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კვლევებისა და ინოვაციების ჰაბის მიერ, რომლის მიზანია ჰაბის წევრების დახმარება ინოვაციის სფეროს მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, იგეგმება რეგულარული კონსულტაციები და საქპატენტთან. 2019 წლის 20-23 მაისს საქპატენტის სასწავლო ცენტრში რიგით მეორედ ჩატარდა სასწავლო კურსი ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ საპატენტო სფეროში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობის, საპატენტო განაცხადის მომზადებამდე ტექნიკის დონის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						პირველადი შეფასებისა და საპატენტო უწყებაში განაცხადის წარდგენის დაგეგმვის შესასწავლად. აღნშნულ კურსში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უნივერსისტეტების წარმომადგენლებმა. აღნიშნული სასწავლო კურსი შემუშავდა საქპატენტის მიერ და იგი უფასოა. 2019 წლის 25 ივნისს საქპატენტს ესტუმრნენ პანკისის ხეობის სოფლების სკოლების მოსწავლეები. შეხვედრა „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო“-ს (JA Georgia) ინიციატივით მოეწყო, რომელიც ახორციელებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „პანკისის სათემო კავშირები“ ქვეპროექტს „საბაზო ბიზნეს კონცეფციები დაწყებით განათლებაში“ პანკისის სკოლებში. შეხვედრაზე სტუმრებს მიაწოდეს ვრცელი ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების სისტემის ფუნქციონირებისა და საქპატენტის საქმიანობის შესახებ და ყურადღება გამახვილდა ინტელექტუალური საკუთრების ცალკეულ ობიექტებზე, მათი სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობასა და როლზე ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში. 2019 წლის 1-5 ივლისს ჩატარდა საზაფხულო სამართლის სკოლა თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. აღნიშნული ღონისძიება განხორციელდა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						(ELSA Georgia), საქპატენტის, ინტელექტულუარი საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) თანამშრომლობით. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს 25 სტუდენტმა 10 ქვეყნიდან (ავსტრია, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, სლოვენია, ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია, საქართველო) ევროპული და ქართული უნივერსიტეტებიდან. საქართველო უკვე მეოთხედ წარმატებით უერთდება იმ 22 ქვეყანას, სადაც სასწავლო კურსს უძღვებიან გამოცდილი დარგობრივი სპეციალისტები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის წარჩინებულ სტუდენტებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და ხელს უწყობენ მათი ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. 2019 წლის 17 სექტემბერს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი - 2019-ის ფარგლებში სამეცნიერო პიკნიკი გაიმართა, რომელშიც საქპატენტმაც მიიღო მონაწილეობა. წინა წლების მსგავსად, უწყებამ, ბავშვებისთვის ჩაატარა სახალისო გაკვეთილები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. გამოგონებებისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით, გაიმართა სხვადასხვა თამაშები და საინტერესო აქტივობები. შემეცნებით - გასართობი საშუალებებით მოზარდებმა მიიღეს ინფორმაცია გამოგონებებისა და ინოვაციური პროდუქტის შექმნის მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში. ასევე, პიკნიკზე

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						დარიგდა ზღაპრები ინტელექტუალური საკუთრების თემაზე. 2019 წლის 24 სექტემბერს, საქპატენტისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გლობალური ალიანსი - ,,OriGIn“ ორგანიზებით ჩატარდა “საერთაშორისო კონფერენცია გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ”. კონფერენციის ჩატარებისა და პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციის გამართვის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის პოპულარიზაცია და ამ სფეროში ქართველ მეწარმეთა ცნობიერების ამაღლებისთვის ხელშეწყობა. 2019 წლის 11 ოქტომბერს საქპატენტის ორგანიზებით, მცირე და საშუალო მეწარმეთათვის და საწარმოებისათვის, გაიმართა სამუშაო შეხვედრა გეოგრაფიულ აღნიშვნებზე, გამოგონებასა და ინოვაციებზე. გამართული შეხვედრა, ,,ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SMES VIP4SME) პროექტის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის ,,Horizon 2020”-ის მიერ. 2019 წლის 12 ოქტომბერს გაიმართა ღვინის ფესტივალი, რომელშიც ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების შესახებ მეწარმეებისა და საზოგადოების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქპატენტმა წარადგინა საინფორმაციო სტენდი, რომელზეც კონკრეტულად კახეთის რეგიონში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელებებით დაცული პროდუქცია გამოიფინა. უწყების ექსპერტებმა კონსულტაცია ჩაუტარეს ფესტივალში მონაწილე მწარმოებლებს და ღონისძიებაზე გაავრცელეს საინფორმაციო ბროშურები და ფლაერები ადგილწარმოშობის დასახელებების შესახებ. 2019 წლის 15 ნოემბერს გაიმართა ყოველწლიური, რიგით მე-9, მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ დაჯილდოების ცერემონია, რომლის მიზანია ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოზარდების ინტერესის გაღვივება, სწავლის დონის ამაღლების ხელშეწყობა, გამომგონებლების ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდების გამოვლენა და შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სტიმულირება.
61		საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების დაბეჭდვა	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	დაახლოებით, 15000 ერთეულით გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალები	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	მომზადდა და გამოიცა: ➢ საქართველოს ღვინის რუკა (18 X 21,5) 650 ც. ➢ საქართველოს ყველის რუკა (18 X 21,5) 500 ც. ➢ საქართველოს აგროპროდუქტების რუკა (18 X 21,5) 500 ც. ➢ საინფორმაციო ბუკლეტი „ინტელექტუალური საკუთრების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ზოგადი კურსის დისტანციური სწავლა“ (A5) 150 ც. ➢ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის „ანგარიში 2018“ 500 ც. ➢ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის „უბის წიგნაკი“ 500 ც. ➢ წიგნი „ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების სამართალი“ 274 გვ - 270ც. საინფორმაციო ფლაერები : ➢ „საქპატენტის შესახებ“ _- 170 ცალი; ➢ „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია საქართველოში“ - 170 ცალი; ➢ „ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა საქართველოში“ - 170 ცალი; ➢ „პატენტი გამოგონებაზე“ - 120 ცალი; ➢ „დიზაინის რეგისტრაცია საქართველოში“ - 120 ცალი; ➢ „პატენტი სასარგებლო მოდელზე“ - 120 ცალი. ➢ პასპორტები/აღწერილობები: ჭაჭა 50 ცალი, ჩურჩხელა 50 ცალი, გუდა 50 ცალი, სულუგუნი 50 ცალი, ქართული ყველი 50 ცალი, იმერული ყველი 50 ცალი, მაწონი 50 ცალი. ➢ პასპორტები/აღწერილობები ადგილწარმოშობის დასახელებებისთვის: ბოლნისის ღვინო - 50 ცალი; _ 50 ცალი. ➢ საბავშვო ზღაპრები: ➢ „კომპასი“ - 1450 ცალი; ➢ „ქოლგა“ - 1450 ცალი; ➢ „ვარსკვლავ-სანთლები“- 1450 ცალი; ➢ „სარეცხის მანქანა“ - 1450 ცალი; ➢ „დორემიუს სოლასი “ - 1450 ცალი;

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						➢ ბროშურა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულება საქართველოში 34 გვ. – 130ც. ➢ ღვინის პასპორტები, 14 დასახელება 20-20 ცალი, 280 ცალი. ➢ „ჭაჭის ფესტივალის“ მასალები (ქ. თელავი): ➢ ბროშურა „გეოგრფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელებები“ – 30 ც. ➢ ჭაჭის პასპორტები – 50 ც. ➢ საქპატენტის წლიური ანგარიში 2018 - 20 ცალი.
62	**ასოცირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება:** კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის განხორცილებული ღონისძიებების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მხარეთა შორის გაზიარება.	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით; კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების გაზიარება მხარეებს შორის	კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა; ცნობიერების ამაღლება.	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების რაოდენობა	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	2019 წლის 18 ივლისს საქპატენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ,,საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“. კონფერენცია წელს მეხუთედ გაიმართა და მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას კონტრაფაქციასა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გამოწვევების შესახებ, ასევე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობას. აღნიშნული კონფერენცია ხელს უწყობს ამ მიმართულებით კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გაღრმავებას, ასევე უწყებათაშორისი და საერთაშორისო გამოცდილების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						გაზიარებას. კონფერენციას ესწრებოდა 130-ზე მეტი დელეგატი. კონფერენციაზე, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე იმსჯელეს კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ტენდენციებსა და პრობლემებზე, მათ შორის კონტრაფაქციული საქონლის გავლენაზე ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკონომიკაზე. ასევე, განიხილეს ბოლო პერიოდში კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოში გადადგმული ნაბიჯების შედეგები და არსებული გამოწვევები.
კონკურენცია						
63	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** მხარეები ითანამშრომლებენ ასოცირების შესახებ შეთანხმების კონკურენციის თავისა და მასთან დაკავშირებული რეფორმების იმპლემენტაციაზე. თანამშრომლობა შეეხება საქართველოს ინსტიტუციური ჩარჩოსა და შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების მიერ შესაბამისი	კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირება, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლ ებისათვის ინფორმაციული შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება	სამიზნე ჯგუფებში გაზრდილი ცნობიერება კონკურენციის დარგში	ჩატარებული შეხვედრების/სემინა რების/საინფორმაცი ო კამპანიების რაოდენობა	სსიპ - კონკურენციის სააგენტო	2019 წლის განმავლობაში ჩატარდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების 22 ღონისძიება. ღონისძიებების სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ მოსამართლეები, ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობების, სადაზღვევო და ფარმაცევტული სექტორის, მარეგულირებელი ორგანოების, ბიზნეს ასოციაციების, საკონსულტაციო კომპანიების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. ღონისძიებები ეხებოდა საქართველოში კონკურენციის აღსრულებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ასპექტებს, სადაზღვევო და ფარმაცევტულ სექტორებში არსებულ

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაციის გარანტირების უზრუნველყოფას, ისევე როგორც დიალოგის გაღრმავებას კონკურენციის სფეროსა და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში საკანონმდებლო აღსრულების თაობაზე					სიახლეებსა და გამოწვევებს, სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებულ ქმედებებს, ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების საკითხებს, ბიზნეს ასოციაციების საქმიანობის თავისებურებებს კონკურენციის სამართლის ჭრილში და ა.შ. აღსანიშნავია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ დაფინანსებული ტრენინგთა კურსი, რომელიც ჩატარდა კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთათვის საქართველოს 11 რეგიონში. ტრენინგების კურსის მიმართ გამოვლენილი განსაკუთრებული ინტერესის გამო, ტრეინინგები გაიმართა ორ ეტაპად და დაესწრო ადგილობრივი თვითმმართველობების 800-მდე თანამშრომელი. კურსი მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისათვის კონკურენციის კანონმდებლობისა და სააგენტოს პრაქტიკის გაცნობას. მნიშვნელოვანია, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (ECJ) მოსამართლეებისა და რეფერენტების მიერ მოსამართლეებისათვის, მოსამართლეთა თანაშემწეებისა და ადვოკატთა კორპუსისათვის გამართული ტრენინგები, რომელთა მიზანი გახლდათ სამიზნე ჯგუფებში ცნობიერების ამაღლება კონკურენციის დავების მიმართულებით არსებული საერთაშორისო მიდგომების შესახებ.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ საჯარო ლექცია გამართა თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ISET-ისა და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, სახელმწიფო უწყებების, ბიზნეს სექტორისა და სხვადასხვა ასოციაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, გაიმართა რამდენიმე ღონისძიება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვის მიზნით. ასევე აღსანიშნავია, ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით ჩატარებული ტრენინგები, რომელთა სამიზნე ჯგუფსაც კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლების გარდა, წარმოადგენდნენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები. ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით ასევე გამოიცა კონკურენციის ტერმინთა პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც წარედგინა საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს.
64		კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებ ისთვის ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება კონკურენციის	უკეთ მომზადებული და კვალიფიკაცია ამაღლებული თანამშრომლები	ჩატარებული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებების რაოდენობა	სსიპ - კონკურენციის სააგენტო	2019 წლის განმავლობაში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა 34 ღონისძიება. სააგენტოს თავმჯდომარემ განახორციელა ვიზიტები უკრაინაში, გერმანიაში, უნგრეთში, შვეიცარიაში, რუმინეთსა და აშშ-ში. ვიზიტების ფარგლებში უცხოელ კოლეგებთან და ექსპერტებთან განხილულ

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე				იქნა კონკურენციის სფეროს აქტუალური საკითხები, მათ შორის, საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივები. ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით ჩატარდა ტრეინინგები ფარმაცევტული ბაზრის. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონცენტრაციების კონტროლის შესახებ. ტრეინინგებზე გაზიარებულ იქნა აშშ-ს მიმდინარე პრაქტიკა დასახელებულ საკითხებთან მიმართებით. სააგენტოში მიმდინარე ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ ორგანიზებით სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები - ახსნა-განმარტებების წარმართვის, კონკურენციის ზეგავლენის შეფასების, სადაზღვევო სექტორის, საწვავის ბაზარზე კონკურენციის დაცვის მიდგომების, ბაზრის მონიტორინგის ეტაპზე რაოდენობრივი ტექნიკის გამოყენების, კითხვარის შევსების ტექნიკის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ფარმაცევტული ბაზრის თავისებურებების, ინტელექტუალური სამართლისა და კონკურენციის სამართლის ურთიერთმიმართების, სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული ქმედებების, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობისა და საცალო ვაჭრობის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						კუთხით არსებული კონკურენციულ სამართლებრივი გამოწვევების შესახებ. სააგენტოს თანამშრომლებს ასევე გამოცდილება გაუზიარეს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მოსამართლეებმა და რეფერენტებმა, რომლებმაც გააცნეს კონკურენციის საქმეების მიმართულებით აქტუალური პრაქტიკა. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, სააგენტოს 2-მა თანამშრომელმა სტაჟირების ორ კვირიანი პროგრამა გაიარა საბერძნეთის კონკურენციის კომისიაში, ხოლო ერთმა თანამშრომელმა სტაჟირება გაიარა ხორვატიის კონკურენციის სააგენტოში, GIZ-ის დაფინანსებით. ასევე განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ავსტრიის კონკურენციისა და პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანოში, სადაც თანამშრომლები ადგილზე გაეცნენ უწყებების პრაქტიკას მიმდინარე მნიშვნელოვან საქმეებთან დაკავშირებით. სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრისა (OECD-GVH RCC) და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში. სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო უკრაინაში, ქ. კიევში ორგანიზაცია PLWH-ის მიერ ორგანიზებულ კონგრესში -

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						„ინტელექტუალური საკუთრება და მედიკამენტების ხელმისაწვდომობა“. ღონისძიება ეხებოდა ფარმაცევტულ სექტორში მოქმედ კანონმდებლობას და მის თანაკვეთას ინტელექტუალური საკუთრებისა და კონკურენციის მარეგულირებელ ნორმებთან.
ვაჭრობა და მდგრადი განვითარება						
65	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** მხარეები გააგრძელებენ დიალოგს ასოცირების შესახებ შეთანხმების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავში განხილული საკითხების თაობაზე, კერძოდ, ყველა საერთაშორისო ფუნდამენტალური შრომითი სტანდარტის შესაბამისი სათანადო შრომითი ინსპექციის სისტემის განვითარების თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან, შრომის კოდექსის იმპლემენტაციასთან, იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შემუშავება	კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) პარიზის შეთანხმების ფარგლებში NDC-თან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება	NDC შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მომზადდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) სამუშაო ვერსია, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების, გეოგრაფიული, ეკონომიკური და ინსტიტუციური ჩარჩოს ქვეთავებს. განისაზღვრა წინასწარი სამიზნე მაჩვენებლები ემისიების შეზღვუდვისთვის; მომზადდა ამბიციურობის წინასწარი ვერსია. მიმდინარეობს გენდერის, ადაპტაციისა და შერბილების ქვეთავების მომზადება.
66		ტრანსპორტის სექტორისათვის კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030 (CAP) საბოლოო ვერსიისა და ენერგეტიკის სექტორისათვის კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030 პირველადი სამუშაო ვერსიის მომზადება	UNFCCC-ის პარიზის შეთანხმების ფარგლებში NDC-ის განხორციელების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება	მომზადებულია CAP-ის საბოლოო ვერსია ტრანსპორტის სექტორისათვის და CAP-ის პირველადი ვერსია ენერგეტიკის სექტორისათვის	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	GIZ-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის) პროექტის “აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების განვითარება კლიმატის ცვლილების სფეროში ევროკავშირის მიერ დასახულ მაჩვენებლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით“ ფარგლებში, მიმდინარეობს „კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030“ სამუშაო ვერსიის შემუშავება. საანგარიშო პერიოდში დაიწყო ენერგიის გადაცემის, ნარჩენების, შენობებისა და ტყეების სექტორებზე მუშაობა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და მომზადდა აღნიშნული სექტორების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	შეთანხმებების იმპლემენტაციასთან, რომლის მხარეც ერთ-ერთი მათგანია, და მდგრადი განვითარებიდან გამომდინარე მათი ვალდებულებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე გაიზიარებენ და გაცვლიან საუკეთესო/მოწინავე					მიმოხილვა. გაიმართა ყველა სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, რომელზეც დაინტერესებულმა მხარეებმა განიხილეს სექტორებში იდენტიფიცირებული სამიზნე მაჩვენებლები, რის შედეგადაც მომზადდა შესაბამისი თავების პირველადი სამუშაო ვერსიები. ასევე, შესაბამისი უწყებებიდან მიღებული კომენტარების გათვალისწინებით მომზადდა "კლიმატის სამოქმედო გეგმის 2021-2030" საბოლოო ვერსია სატრანსპორტო სექტორისათვის.
67	პრაქტიკას აღნიშნული თავით განსაზღვრული ვალდებულებების სამომავლო შესრულების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის გათვალისწინებით.	საქართველოს მეორე ორწლიანი განახლებული ანგარიშის (BUR) მომზადება და წარდგენა UNFCCC-სთვის	UNFCCC-ის ფარგლებში BUR-თან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება	BUR წარდგენილია UNFCCC-სთვის	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტის „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეორე ორწლიანი განახლებული ანგარიშის შემუშავება“ ფარგლებში BUR-ის დოკუმენტის საბოლოო ვერსია ინგლისურ ენაზე წარედგინა გაეროს კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) სამდივნოს. დოკუმენტი ითარგმნა ქართულ ენაზეც. ასევე, მომზადდა სათბური გაზების ინვენტარიზაციის მე-5 ანგარიში, რომელიც წარედგინა კონვენციის სამდივნოს და გამოქვეყნდა კონვენციის ვებ გვერდზე.
68		კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების (FNC)	UNFCCC-ის ფარგლებში FNC-თან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება	FNC-ის ადაპტაციის თავისათვის მომზადებულია სქემა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტი „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების შემუშავება”, რომლის ფარგლებშიც მომზადდა FNC-ის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		ადაპტაციის თავის სქემის შემუშავება				ადაპტაციის თავის სქემა და დაიწყო მუშაობა FNC-ის ადაპტაციის კომპონენტის შემდეგ მიმართულებებზე: კლიმატის სცენარები, მყინვარებზე კლიმატის ცვლილების გავლენა და მისი შეფასება, კლიმატის ცვლილების გავლენა სანაპირო ზოლზე, კლიმატის ცვლილების გავლენა ზედაპირულ ჩამონადენზე, კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე (მეცხოველეობა, მარცვლოვანი კულტურები, მრავალწლოვანი კულტურები), კლიმატის ცვლილების გავლენა ტყის სექტორზე და მისი შეფასება, კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება საძოვრებზე და კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება მიწისქვეშა მტკნარ წყლებზე.
69	**ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 234; b:** თევზის მარაგის მდგრადი და გონივრული მართვის მნიშვნელობის გათვალისწინებით და სავაჭრო ურთიერთობებში ეფექტური მმართველობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას გაატარონ ეფექტური ზომები	თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის განვითარება	შიდა წყალსატევებზე თევზჭერის ელექტრონული აღრიცხვის მოდულების შემუშავება	შემუშავებულია შიდა წყალსატევებზე თევზჭერის ელექტრონული აღრიცხვის მოდულები	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი განაგრძობს მუშაობას იმ გემების რაოდენობის გაზრდის მიზნით, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემით. მიმდინარეობს თევზის რესურსის მარაგის და შესაბამისი თევზჭერისათვის დასაშვები კვოტების გაანგარიშების და დადგენის მეთოდოლოგიების დაახლოვება ევროკავშირის და GFCM-ის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან. აღნიშნული აქტივობა საჭიროებს მზარდ ფინანსურ, ადამიანურ და სხვა მნიშვნელოვან რესურსებს. აქტივობის საბოლოო დასრულების ვადები გადაიდო 2020 წლის დეკემბრამდე.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	თევზჭერის საქმიანობის მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით					
70	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** მხარეები გააგრძელებენ დიალოგს ასოცირების შესახებ შეთანხმების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავში განხილული საკითხების თაობაზე, კერძოდ, ყველა საერთაშორისო ფუნდამენტალური შრომითი სტანდარტის	შემოსავლების სამსახურისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება CITES-ის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით. ტრენერთა ტრენინგის განხორციელება აღნიშნული უწყებების შერჩეული წარმომადგენლებისა თვის	გადამზადებული ტრენერები, რომლებიც შეძლებენ მომავალში საკუთარი თანამშრომლების გადამზადებას კონვენციის რეგულაციებთან დაკავშირებით.	გადამზადებული პირების რაოდენობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მზადდება სახელმძღვანელო „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) საკითხებზე, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლების ტრენერთა ტრენინგისათვის.
71	შესაბამისი სათანადო შრომითი ინსპექციის სისტემის განვითარების თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან, შრომის კოდექსის იმპლემენტაციასთან,	საქართველოს კანონის „ტყის კოდექსის“ მიღება	ტყის დაცვისა და ტყით სარგებლობის ეფექტიანი რეგულირება, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის პრაქტიკასთან	მიღებულია კანონი „ტყის კოდექსის შესახებ“	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2019 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა ტყის კოდექსის პროექტი. ასევე, ჩატარდა საპარლამენტო კომიტეტის მოსმენები. ამასთან, 2019 წლის ოქტომბერში კანონპროექტი პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა პირველი მოსმენით.
72	იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების იმპლემენტაციასთან, რომლის მხარეც ერთ-	კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების "ტყითსარგებლობის წესი",	ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებული	ახალი ტყის კოდექსის კანონის პროექტის სამართლებრივი მოთხოვნების	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის	შემუშავებულია "ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ", "ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" და "ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ"

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	ერთი მათგანია, და მდგრადი განვითარებიდან გამომდინარე მათი ვალდებულებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე გაიზიარებენ და გაცვლიან საუკეთესო/მოწინავ ე პრაქტიკას აღნიშნული თავით	"ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესი" და "ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენის წესი" ტყის კოდექსის კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა	საკანონმდებლო აქტები	შესაბამისი ტყით სარგებლობის, ტყის მოვლისა და აღდგენის, ტყის აღრიცხვა და მონიტორინგის შესახებ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტების პირველადი სამუშაო ვერსიები, რომელთა გადამუშავება ტყის კოდექსის კანონპროექტის სამუშაო ვერსიასთან შესაბამისობაში მოსაყვანად დაიწყება კოდექსის პარლამენტის მიერ მიღების შემდეგ.
73	განსაზღვრული ვალდებულებების სამომავლო შესრულების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის გათვალისწინებით.	ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემის განვითარება	ტყისა და მიწათსარგებლობი ს ინფორმაციისა და გადაწყვეტილებებ ის მხარდამჭერი სისტემის გაუმჯობესება ტყესთან დაკავშირებული მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობა	შემუშავებული სისტემა Web-GIS ფუნქციების მქონე ინტერფეისით და შექმნილი სივრცითი მონაცემების დეცენტრალიზებუ ლი ბაზა; სამინისტროს თანამშრომლებისთ ვის FLUIDS სისტემის შესახებ შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები, მათ შორის, ტრენინგი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებაში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	დასრულდა ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემის შემუშავება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შემდეგი მიმართულებებით: • ინტერაქტიული სტატისტიკის დაფა / ქვეყნის პროფილი (dashboard); • წიაღის საბადოებისა და ლიცენზიების განახლებული მონაცემები; • ინტეგრირდა და შემუშავდა ნიადაგის დეგრადაციის ინტერაქტიული რუკა (საქართველოს ნიადაგების ელექტრონული მონაცემთა ბაზა და ნიადაგების ატლასი); • შემუშავდა ინტერაქტიული ტყის მართვის თემატური რუკები და ინტეგრირდა მენიუში (განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნები; გაბატონებული ხის სახეობები; დაპროექტებული მართვის ღონისძიებები; მიწის კატეგორიები;) • დაემატა მონაცემთა ფენების ფილტრაციის ფუნქცია;

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						• "ვებ სერვისის" გამოყენებით, ეროვნული საჯარო რეესტრის გეომონაცემთა ბაზიდან ინტეგრირდა არსებული ორთოფოტოები და ტოპოგრაფიული რუკები; • ინტეგრირდა ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების შესახებ მონაცემები; • განახლდა სისტემაში არსებული ყველა მონაცემის შესახებ მეტა მონაცემი ცენტრალურ GIS სერვერზე; 2019 წელს სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო დაწესებულებების (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) 19 თანამშრომელი გადამზადდა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (ArcGIS Desktop, ArcGIS online/Server, Web-portal) გამოყენების უნარების გაუმჯობესების მიზნით. 2019 წლის 16 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა Global Forest Watch-ის მომხმარებელთა სამიტი. ღონისძიების ფარგლებში ქართულმა დელეგაციამ, რომელიც შედგებოდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან, წარადგინა ტყისა და მიწათსარგებლობის ეროვნული ატლასი. გარდა ამისა, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ტყის მონიტორინგის ინსტრუმენტების შესახებ.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						2019 წლის 18 ივლისს, ტყის და მიწათსარგებლობის ეროვნული ატლასის ონლაინ პლატფორმა ოფიციალურად წარუდგინეს საზოგადოებას.
74		ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM) თანამშრომლობა, სამუშაო შეხვედრებში საქართველოს მონაწილეობა არაწევრი თანამშრომელი ქვეყნის სტატუსის შესაბამისად	შემენილი გამოცდილება და ინფორმაცია GFCM-ის და ევროკავშირის მოთხოვნებზე და სტანდარტებზე თევზჭერისა და აკვაკულტურის სექტორებში	შეხვედრების რაოდენობა, რომელშიც საქართველოს დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა 2019 წლის 6-10 მაისს მონაწილეობა მიიღეს ორსაგდულიანი მოლუსკების (მიდიების და ხამანწკების) პათოლოგიების სადემონსტრაციო ტრენინგში, რომელიც ჩატარდა ქ. კონსტანცაში (რუმინეთი) გრიგორ ანტიპას სახელობის საზღვაო კვლევებისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტის აკვაკულტურის სადემონსტრაციო ცენტრში. ტრენინგი ორგანიზებული იყო ხმელთაშუაზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) მიერ. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა 2019 წლის 28 იანვრიდან - 1 თებერვლის ჩათვლით მონაწილეობა მიიღეს თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. ტრაბზონში მეთევზეობის კვლევით ცენტრალურ ინსტიტუტში (SUMAE), გაერთიანებული ერების (UN), სურსათისა და სოფლის მეურ ნეობის ორგანიზაციის (FAO), ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) პროექტის (BlackSea4Fish) ფარგლებში ორგანიზებულ ,,შავი ზღვის თევზების ასაკის განსაზღვრის სემინარში“ . სემინარში განხილულია იყო შავი ზღვის თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების, ძირითადად ქაფშიისა და რაპანის ასაკის იდენტიფიცირების საკითხები. მიღებული

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						და შეთანხმებული იქნა ასაკის კითხვის პროტოკოლები. გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რაპანას მარაგის დასადგენად ერთიანი მეთოდოლოგიის განსაზღვრისათვის ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში. BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში იგეგმება ექსპერიმენტული სამუშაოები რაპანას მარაგის განსაზღვრისათვის შემუშავებული ერთიანი მეთოდოლოგიური პროტოკოლის მიხედვით შავი ზღვის აკვატორიაში ქ. ტრაბზონთან, რის შემდეგაც შავი ზღვის ქვეყნები განახორციელებენ კვლევას თავის ტერიტორიულ წყლებში. 2019 წლის 08 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით ქალაქ მონასტირში, ტუნისი გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) მიერ აკვაკულტურის საკონსულტაციო კომიტეტის (CAQ) მიერ მდგრადი აკვაკულტურის განვითარების სახელმძღვანელოს და მითითებების შემუშავების მიზნით ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სსდ დეპარტამენტის თანამშრომელმა. შეხვედრაზე მომზადდა მდგრადი აკვაკულტურის განვითარების სახელმძღვანელო და მითითებები. 2019 წლის 16 ივლისიდან 2019 წლის 19 ივლისის ჩათვლით, სსდ დეპარტამენტის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის მიერ (GFCM) ქ. ტირანაში (ალბანეთი) ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში GFCM-შესაბამისობის კომიტეტის მე-3 სესიის და კონტროლის და ზედამხედველობის და არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებულ თევზჭერის საკითხებზე. 2019 წლის 18-20 სექტემბერს გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) ორგანიზებით ქ. ტრაბზონში (თურქეთი) ჩატარდა შავი ზღვის სამუშაო ჯგუფის (WGBS) მე-8 შეხვედრა, ასევე BlackSea4Fish პროექტის კომიტეტის მორიგი შეხვედრა, რაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსდ დეპარტამენტის თანამშრომლებმა. 2019 წელს აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა GFCM-თან. კომისიასთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოდან შემდეგი უწყების თანამშრომლებმა: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, სსდ - გარემოდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. სულ ჩატარდა 12 შეხვედრა, რომელიც ეხებოდა თევზჭერის მენეჯმენტის საკითხებს; აკვაკულტურის განვითარების საკითხებს;

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						თევზჭერის მონიტორინგის და კონტროლის საკითხებს და თევზის რესურსების კომერციულად მნიშვნელოვანი სახეობების მარაგის დადგენის საკითხებს. ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან თანამშრომლობა ქვეყანას ეხმარება მიიღოს გამოცდილება ევროკავშირის არსებულ მოთხოვნებზე, რეგულაციებზე და იმ სტანდარტებზე რომელიც დანერგილია თევზჭერისა და აკვაკულტურის სექტორებში.
75	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** მხარეები გააგრძელებენ დიალოგს ასოცირების შესახებ შეთანხმების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავში განხილული საკითხების თაობაზე, კერძოდ, ყველა საერთაშორისო ფუნდამენტალური შრომითი სტანდარტის	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ	გაზრდილი ცნობიერება დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის	საინფორმაციო შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების რაოდენობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	„შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე წელს ინსპექტირება ჩატარდა 49 კომპანიის 138 ობიექტში, რომლის დროსაც დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ვრცელდებოდა საინფორმაციო ბროშურები შრომითი უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების შესახებ. „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე შემოწმდა 194 კომპანიის 255 ობიექტი. გარდა ამისა, ამავე კანონის საფუძველზე, ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფების მიერ სამშენებლო სექტორში შემოწმდა 148 კომპანიის 152 ობიექტი.
76	შესაბამისი სათანადო შრომითი ინსპექციის სისტემის განვითარების თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან, შრომის კოდექსის	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	საწარმოებში ბავშვთა შრომის გამოყენების შემცირება	ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური	„იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილების ფარგლებში შრომის

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	იმპლემენტაციასთან, იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების იმპლემენტაციასთან, რომლის მხარეც ერთ-			შეხვედრების რაოდენობა	დაცვის სამინისტრო	პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 100 კომპანიის ინსპექტირება, რომლის დროსაც ყურადღება ეთმობოდა ბავშვთა შრომის შესახებ კომპანიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას.
77	ერთი მათგანია, და მდგრადი განვითარებიდან გამომდინარე მათი ვალდებულებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე გაიზიარებენ და გაცვლიან საუკეთესო/მოწინავე პრაქტიკას აღნიშნული თავით განსაზღვრული ვალდებულებების სამომავლო შესრულების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის გათვალისწინებით	სოციალურ პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფუნქციონირება	გაძლიერებულია სოციალური პარტნიორობა და სოციალური დიალოგი;	კომისიის შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია	2019 წლის 15 მარტს ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის სამმხრივი ტერიტორიული კომისიის სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის სამმხრივი ტერიტორიული კომისიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი და განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის სამმხრივი ტერიტორიული კომისიის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის 6 შეხვედრა. შეხვედრები დაეთმო სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის გადახედვას, შრომისა და დასაქმების სტრატეგიის პროექტს და სხვადასხვა აქტების, მათ შორის, მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტებს.

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
გამჭვირვალობა						
78	**ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:** ვაჭრობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას, გამჭვირვალობის ვალდებულებების იმპლემენტაციისთვის მომზადება და ამ კუთხით, საჭირო მექანიზმების ამუშავების შესაძლებლობის განხილვა	DCFTA-ის შესახებ ვებ-გვერდის შემდგომი განვითარება	DCFTA-ის შესახებ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა და ამაღლებული ცნობიერება	მუდმივად განახლებული და ფუნქციონირებადი ვებ-გვერდი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მუდმივად მიმდინარეობს აღნიშნული ვებ-გვერდის www.dcfta.gov.ge განახლება, კერძოდ: საიტზე განახლდა ვაჭრობის სტატისტიკა; შენიშვნებისთვის გასაჯაროვდა საკანონმდებლო აქტების პროექტები სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროებში; ვებგვერდზე ინტეგრირებულ კალენდარში განთავსდა DCFTA-ისთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. 2019 წლის განმავლობაში, ვებგვერდის ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა 20 079. საქართველოს გარდა, ვებგვერდს ყველაზე ხშირად სტუმრობენ ამერიკიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან და ბელგიიდან.
79		DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის გაზრდა	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2019 წლის 19 ივლისს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (G4G-ის) პროგრამის მხარდაჭერით, თბილისში, სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის გაერთიანებული შეხვედრა გაიმართა (DAG-ის რიგით მე-7 შეხვედრა). საბჭოს წევრებმა მოისმინეს პრეზენტაცია სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შესახებ. გარდა ამისა, გაეცნენ ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების -

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ელექტრომაგნიტური თავსებადობისა (EMC) და დაბალი ძაბვის შესახებ (LVD) რეგულაციის გავლენის შეფასების შედეგებს, რომლებიც მომზადდა PMO საკონსულტაციო ჯგუფის მიერ G4G-ის მხარდაჭერით.
80		DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	DCFTA-ის შესახებ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა და ამაღლებული ცნობიერება	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით და ევროპული პროექტის - „ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობა“ - მხარდაჭერით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესახებ კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ფარგლებში მიმდინარე წლის 18 იანვარს, ქ. რუსთავში გაიმართა რეგიონალური სამუშაო შეხვედრა ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებთან მრგვალი მაგიდის ფორმატით, რომელიც DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას მიეძღვნა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო კერძო სექტორისა და მედიის 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა. მიმდინარე წლის თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი დაესწრო ქალაქ მცხეთაში გამართულ რეგიონალურ შეხვედრას, რომლის მიზანიც იყო ფერმერებს, ბიზნესს და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის დიალოგის გაუმჯობესება. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ისეთ თემებზე როგორიცაა, DCFTA-ს გამოწვევები და

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						შესაძლებლობები მცირე ფერმერული მეურნეობების, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების და მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.
81		DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ბეჭდური მასალების მომზადება და გამოცემა	ამაღლებულია საზოგადოებრივი ცნობიერება DCFTA-ის განხორციელების მიმდინარე პროცესის შესახებ	გამოცემული ბეჭდური მასალების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მომზადდა და გამოიცა 200 ცალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2018 წლის ანგარიში ბუკლეტის სახით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, USAID-ის პროექტის Government for Growth (G4G) მხარდაჭერით. აღნიშნული ბუკლეტების გავრცელება ხდება DCFTA-სთან დაკავშირებულ შეხვედრებზე.
DCFTA-ის კოორდინაცია						
82	ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაცია	DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრების ორგანიზება	DCFTA-ის განმახორციელებელ უწყებებს შორის გაუმჯობესებული კოორდინაცია და DCFTA-ს ვალდებულებების ეფექტური და დროული შესრულების უზრუნველყოფა	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; DCFTA-ს განხორციელებაში ჩართული უწყებები	2019 წლის 28 ნოემბერს ჩატარდა DCFTA-ს განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის მეთერთმეტე სხდომა. საკოორდინაციო ჯგუფმა სხდომის ფარგლებში განიხილა DCFTA-ს განხორციელების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა; 2019 წლის 5-6 დეკემბერს თბილისში დაგეგმილი სავაჭრო საკითხებზე ასოცირების კომიტეტის შეხვედრის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები; DCFTA-ის განხორციელების 2020 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მდგომარეობა. 2019 წლის 5-6 დეკემბერს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების

ხოდა N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი / თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						კომიტეტის მეექვსე შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ DCFTA-ს განხორციელებაში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და ევროკომისიის შესაბამისი დირექტორატების წარმომადგენლები. მომზადდა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 3 იანვარის № 1-1/2 ბრძანებით დამტკიცდა "საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2020 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ .